



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგი თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებში

მონიტორინგის ანგარიში №11

მონიტორინგის პერიოდი: სექტემბერი, 2016 - თებერვალი, 2017



თბილისი, 2017



USAID
ამერიკელი ხალხისათვის

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდგმურ
საქართველოში (PROLoG)

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგი თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და თელავის სასამართლოებში

მონიტორინგის ანგარიში №11

პერიოდი: სექტემბერი, 2016 - თებერვალი, 2017

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან



EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLOG)

ავტორთა მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის მთავრობის პოზიციას.

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას სასამართლო მონიტორინგის პროექტის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

ავტორი: გოგა ხატიანაშვილი

ანგარიშის IX თავის ავტორი: მერი ღაუშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირაღაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

**გამოცემაზე პასუხისმგებელი: ანა ნაცვლიშვილი
ეკატერინა ციმაკურიძე**

ანგარიშის მომზადებისა და მონიტორინგის განხორციელების პროცესში მონაწილეობა მიიღეს საიას მონიტორებმა:

სოფო კვინიკაძე
თამარ გოჭორიშვილი
გიორგი ნაღირაძე
ხათია ხარატიშვილი
ანზორ სიმშიაშვილი
ბექა თაკალანაძე
გიორგი ეუაშვილი



აინყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

შინაარსი

შესავალი	8
მეთოდოლოგია	9
I. პირველი წარდგინის სხდომაზე გამოვლენილი ტენდენციები – ზოგადი მიმოხილვა	13
1. შესავალი	13
2. სხდომების ანალიზი	14
2.1. პროკურატურის მიდგომები	16
2.2. სასამართლოს მიდგომები	16
2.3. დაცვის მხარის პოზიცია	17
II. ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმროვის გამოყენება	19
1. შესავალი	19
2. სასამართლო სხდომების ანალიზი	20
III. ალკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება	26
1. შესავალი	26
2. სასამართლო სხდომების ანალიზი	28
IV. სავარაუდო არასათანადო მოქმედების ფაქტები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან	36
1. შესავალი	36
2. ანალიზი	37
V. გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრაკისა და ამოღების ჩატარება და სასამართლო კონტროლი	41
1. შესავალი	41
2. სასამართლო სხდომების ანალიზი	42
VI. დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება	45
1. შესავალი	45
2. სასამართლო სხდომების ანალიზი	46
VII. სავროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული სამართალწარმოება	50
1. შესავალი	50
2. სასამართლო სხდომების ანალიზი	52
2.1. კანონით გათვალისწინებული უფლებების განმარტება	52

2.2.	სასამართლოს მიდგომები სასჯელის სამართლიანობისა და კანონიერების შემონახვასთან დაკავშირებით	54
2.3.	საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული სასჯელები	58
2.4.	დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინება სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით	63
2.5.	ადვოკატის მონაწილეობა საპროცესო შეთანხმების სასამართლო განხილვის პროცესში	65
VIII.	წინასასამართლო სხდომებზე მტკიცებულებათა დასაშვებობა	67
1.	შესავალი	67
2.	სასამართლო სხდომების ანალიზი	67
2.1.	ბრალდების მხარის შუამდგომლობები მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე	69
2.2.	დაცვის მხარის შუამდგომლობები მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე	70
IX.	საქმის არსებითი განხილვის დროს გამოვლენილი ტენდენციები	72
1.	სასამართლო სხდომების გაჭიანურების პრობლემა	72
1.1.	შესავალი	72
1.2.	პროცესის გადადება	73
1.2.2.	პროცესის დაგვიანებით დაწყება	78
2.	მხარეთა შეჯიბრებითობასა და თანასწორობაში ჩარევა	80
2.1.	შესავალი	80
2.2.	სასამართლო სხდომების ანალიზი	81
3.	მოსამართლის მიერ უფლებათა განმარტება	82
3.1.	შესავალი	82
3.2.	სასამართლო სხდომების ანალიზი	83
4.	მოსამართლის მიერ წესრიგის დაცვა	84
4.1.	შესავალი	84
4.2.	სასამართლო სხდომების ანალიზი	84
5.	ბრალდებულის მიმართ ვიზუალურად დამამცირებელი ღონისძიების გამოყენება	85
6.	განაჩენი	87
	რეკომენდაციები	88

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიზნაკავშირები:

როგორც მონიტორინგმა აჩვენა, ნაცვლად იმისა, რომ მართლმსაჯულების სისტემის განვითარების პერსპექტივები შეიქმნას, არსებული პრობლემები და გამოწვევები ცხადყოფს, რომ შესაძლოა სისხლის სამართლის პროცესში ადამიანის უფლებების შელახვა ან არამიზნობრივი ჩარევა სისტემატურ პრობლემად იქცეს.

- კვლავ ძალიან დაბალია ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი და, ძირითადად, გირაო და პატიმრობა გამოიყენება. კერძოდ, შემთხვევათა 96%-ში გამოყენებული იყო გირაო და პატიმრობა, ხოლო შემთხვევათა 4%-ში – სხვა სახის აღკვეთის ღონისძიება;
- კვლავ პრობლემას წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობისა და გირაოს დაუსაბუთებლად გამოყენება. კერძოდ, შემთხვევათა 14%-ში¹ შეფარდებული პატიმრობა იყო დაუსაბუთებელი და არ იყო გამოყენებული, როგორც უკიდურესი საშუალება, როგორც ამას კანონმდებლობა მოითხოვს.² აგრეთვე, გაზრდილია დაუსაბუთებელი გადანყევტილებების პროცენტული მაჩვენებელი გირაოს გამოყენების თაობაზე, რაც 31%-ს შეადგენს;³
- რჩება შთაბეჭდილება, რომ დანაშაულის სიმძიმე და სასჯელის სიმკაცრე კვლავ წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ძირითად საფუძველს, რაც წინააღმდეგობაში მოდის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და საერთაშორისო სტანდარტებთან;
- ხშირად პროკურორს არ აქვს ინფორმაცია ან სათანადო დასაბუთება მოთხოვნილი გირაოს თანხის ოდენობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ბრალდებულთა 87%-ის მიმართ გირაოს მოთხოვნის შემთხვევაში, ბრალდების მხარეს ყურადღება არ გაუმახვილებია მათ მატერიალურ შესაძლებლობებზე ან

¹ წინა საანგარიშო პერიოდში დაუსაბუთებელი პატიმრობების მაჩვენებელი 10%-ით განისაზღვრა.

² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი.

³ წინა საანგარიშო პერიოდში დაუსაბუთებელი გირაოს გამოყენების მაჩვენებელი 28% იყო.

არ ჰქონია სათანადო დასაბუთება. ცალკეულ შემთხვევებში, ეს პრობლემა პერსონალური ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გაუცნობიერებლობით იყო გამოწვეული;

- მიუხედავად სასამართლო პროცესებზე გამოვლენილი სავარაუდო წამების/არასათანადო მოპყრობის შემთხვევებისა, სასამართლოს როლი ფორმალურია. მოსამართლეს არ აქვს საკმარისი სამართლებრივი ბერკეტები ასეთ ფაქტებზე სათანადო რეაგირების განსახორციელებლად. აგრეთვე, რიგ შემთხვევებში, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პროცესებზე ბრალდების მხარისათვის ცნობილი ხდება ასეთი ინფორმაცია, თავს არიდებს გამოძიების დაწყებას;
- კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დაკავების კანონიერებაზე ჯეროვანი სასამართლო კონტროლის არარსებობა, რაც შესაძლოა კანონმდებლობის ხარვეზებით იყოს გამოწვეული. უმეტესად, მოსამართლეები არ ამოწმებენ დაკავების კანონიერებას;
- კვლავ პრობლემად რჩება ჩხრეკისა და ამოღების საგამონაკლისო წესით ჩატარება. უმეტესად, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები ძირითადი წესის სრული უგულებელყოფით ხორციელდება. შემთხვევათა 99%-ში ჩხრეკა და ამოღება ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობით, რაც სასამართლომ კანონიერად ცნო.
- საქმის არსებითი განხილვის სხდომების გადადება ხშირად ხდება გახსნისთანავე ან დაგვიანებით იწყება, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ადგილი აქვს პროცესების გაჭიანურებას;
- საქმის არსებითი განხილვის სხდომების 28%-ის შემთხვევაში მოსამართლემ ბრალდებულებს უფლებები არასრულყოფილად ან საერთოდ არ განუმარტა;
- სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვებულ საქმეებზე, ყველა შემთხვევაში, გამამტყუნებელი განაჩენი იყო გამოტანილი;
- მართალია, საპროცესო შეთანხმების განხილვის დროს მოსამართლეთა მიერ უფლებების განმარტების კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესებულია, თუმცა, მაინც რჩება მთელ რიგი პრობლემები და ხარვეზები, რაც, მაგალითად, წარდგენილი სასჯელის კანონიერებისა და სამართლიანობის შესახებ მსჯელობის ნაკლებობას უკავშირდება;

- ავტოსატრანსპორტო დანაშაულებზე, რომლებსაც შედეგად ადამიანის გარდაცვალება ან ჯანმრთელობის დაზიანება მოჰყვება, ხშირად ისე ფორმდება საპროცესო შეთანხმება, რომ სასამართლო სხდომაზე დაზარალებულთა ან დაზარალებულის უფლებამონაცვლეთა პოზიცია არ ფიქსირდება;
- სატრანსპორტო დანაშაულის ყველა საქმეზე, სადაც საპროცესო შეთანხმება გაფორმდა, ყველა შემთხვევაში დანაშაულების მიმართ არასაპატიმრო სასჯელები იქნა გამოყენებული. მართალია, სასჯელის დაკისრებისა და მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსობრივი მხარის შესწავლა ამ კვლევის ფარგლებს მიღმაა, თუმცა, ის ფაქტი, რომ ყველა შემთხვევაში ნაკლებად მკაცრი სანქციები (პირობითი მსჯავრი ან/და ჯარიმა) იყო გამოყენებული, ბაძებს კითხვებს, რამდენად ეფექტურად შეასრულებს ეს მიდგომები ზოგადი პრევენციის როლს ამ ტიპის დანაშაულებთან მიმართებით;
- სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე, უმეტესად, ისე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომ დაზარალებულის პოზიციასა ან მის ინტერესებზე პროკურორს არ უსაუბრია და, შესაბამისად, პროცესზეც არ განხილულა;
- საანგარიშო პერიოდში, პატიმარ ბრალდებულებთან მიმართებით არსებითი განხილვის სხდომებზე დაფიქსირდა ვიზუალურად დამამცირებელი ღონისძიების გამოყენება. კერძოდ, სხდომის მსვლელობის დროს გალიაში განთავსება, ხისა და შუშის ბოქსში მოთავსება და ხელბორკილის გამოყენება, რისი საჭიროებაც პროცესზე არ გამოკვეთილა;
- ნარკოტიკული დანაშაულების ცალკეული ნორმები მოუწესრიგებელია, რაც, ხშირ შემთხვევაში, განაპირობებს კანონმდებლობის დარღვევასა და მოსამართლეთა მხრიდან არაერთგვაროვან დამოკიდებულებას.

საიამ მე-10 სპეციალური ანგარიში მიუძღვნა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საქმეებს, რომელიც მოიცავს 2016 წლის 20 აგვისტოდან 2017 წლის იანვრის ჩათვლით საანგარიშო პერიოდს.⁴ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

⁴ ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები, <http://bit.ly/2sPbn44>.

- სასამართლოები კვლავ მნიშვნელოვანი ხარვეზებით მოქმედებენ და ზოგჯერ ბრალდებულებს უფარდებენ დაუსაბუთებლად ლმობიერ აღკვეთის ღონისძიებებს. წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი არასათანადო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე. კერძოდ, შეფარდებული გირაოს 17 შემთხვევიდან 8 (47%) იყო დაუსაბუთებლად ლმობიერი ღონისძიება.⁵ აღნიშნული კი ვერ უზრუნველყოფს განმეორებითი ძალადობის პრევენციასა და მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვას;
- მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ არცერთ შემთხვევაში, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე, დანაშაულის დაკვალიფიცირება არ მომხდარა დისკრიმინაციულ დანაშაულად (არ მომხდარა მითითება სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3¹ პუნქტზე). შესაბამისად, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ბრალდების მხარეს ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით შესაძლო დისკრიმინაციულ მოტივებზე ყურადღება არცერთ შემთხვევაში არ გაუმახვილებია. მიუხედავად გენდერული დისკრიმინაციის მოტივის მიმანიშნებელი გარემოებებისა, პროკურორებისა და მოსამართლეების ანალიზი ამ კუთხით მსჯელობას არ მოიცავს.

შესავალი

ანგარიშის მიზანია, სისხლის სამართლის სასამართლო პროცესებზე დასწრებითა და გამოვლენილი შემთხვევების ანალიზის შედეგად, პრაქტიკული და საკანონმდებლო ხარვეზების, მათ შორის, დადებითი ტენდენციების იდენტიფიცირება, რომლებიც მართლმსაჯულების სისტემის ავკარგიანობას წარმოაჩენს.

მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართალწარმოების დროს პროცესის მონაწილეთა უფლებები და ინტერესები მაქსიმალურად იყოს დაცული. თუმცა, რიგ შემთხვევებში, არ ხდება ამ სტანდარტების დაცვა, რაც განპირობებულია როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკული ხარვეზებით. ორგანიზაციამ, წინა ანგარიშე-

⁵ წინა საანგარიშო პერიოდში გამოყენებული გირაოს 10 შემთხვევიდან 2 (20%) იყო დაუსაბუთებლად ლმობიერი.

ბის მსგავსად, გამოიკვლია სასამართლო პროცესების დროს გამოვლენილი ხარვეზები, მათ შორის, დადებითი ტენდენციები, რომელთა ანალიზიც შესაძლებელი გახდა სასამართლო დარბაზებში მიმდინარე რეალური პროცესების ასახვითა და არსებული ინფორმაციის დამუშავებით. ანგარიში ეფუძნება როგორც ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლოთა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს, ისე საერთაშორისო მიდგომებსა და რეკომენდაციებს.

ანგარიშში წარმოდგენილია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ტენდენციები, პატიმრობისა და გირაოს შეფარდების პრაქტიკა და ხარვეზები, ასევე, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები და მათზე სახელმწიფოს რეაგირების მექანიზმები. ანგარიშში ყურადღება არის გამახვილებული ჩხრეკისა და ამოღების პრაქტიკაზე, შეფასებულია დაკავების კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლო კონტროლის ეფექტურობა, აგრეთვე, წარმოდგენილია საპროცესო შეთანხმებისა და წინასასამართლო სხდომებზე გამოვლენილი ხარვეზები და ტენდენციები. ანგარიშში ყურადღება ეთმობა საქმის არსებითი განხილვის დროს გამოვლენილ ტენდენციებსაც.

ბოლოს, ანგარიშს თან ერთვის მონიტორინგის მიმდინარეობისას გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტის შესაბამისი რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების მთავარი მიზანი სისხლის სამართლის სისტემის სრულყოფა-გაუმჯობესების ხელშეწყობაა.

მეთოდოლოგია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) ახორციელებს სასამართლოს მონიტორინგის პროექტს 2011 წლის ოქტომბრიდან. საიამ მონიტორინგის პროექტი თავდაპირველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში განახორციელა. 2012 წლის 1 დეკემბერს საიამ გააფართოვა მონიტორინგის ფარგლები და მასში ქუთაისის საქალაქო სასამართლოც ჩაერთო. 2014 წლის მარტის თვეში კი, მონიტორინგი ბათუმის საქალაქო სასამართლოშიც დაიწყო. 2016 წლის სექტემბრიდან მონიტორინგის პროცესს დაემატა თელავისა და გორის სასამართლოებიც. ხუთივე ქალაქში მონიტორინგის იდენტური მეთოდები იყო გამოყენებული.

საიას მიერ მომზადებული მონიტორინგის პირველი და მეორე ანგარიშები მოიცავს 2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის მარტამდე არსებულ პერიოდს.⁶ მესამე ანგარიში მოიცავს პერიოდს - 2012 წლის ივლისიდან დეკემბრამდე.⁷ მეოთხე ანგარიში მოიცავს პერიოდს - 2013 წლის იანვრიდან ივნისის ჩათვლით.⁸ მეხუთე ანგარიში მოიცავს პერიოდს - 2013 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით,⁹ მეექვსე ანგარიში მოიცავს პერიოდს - 2014 წლის იანვრიდან 15 აგვისტოს ჩათვლით.¹⁰ საიამ მონიტორინგის მეექვსე ანგარიშთან ერთად წარმოადგინა მონიტორინგის სამი წლის შემაჯამებელი დოკუმენტი, რომელშიც შევიდა ამ ხნის განმავლობაში სასამართლოში დაფიქსირებული პრობლემები, ცვლილებები, ტენდენციები და არსებული გამოწვევები.¹¹ აგრეთვე, საიამ ივნისის თვეში წარმოადგინა რიგით მეშვიდე ანგარიში, რომელიც მოიცავდა 2014 წლის 15 აგვისტოდან 2015 წლის იანვრის ჩათვლით არსებულ მონაცემებს,¹² ხოლო 10 მარტს მე-8 ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა, რომელშიც შესულია 2015 წლის თებერვლიდან 2015 წლის ოქტომბრის ჩათვლით არსებული მონაცემები.¹³ მე-9 ანგარიშის პრეზენტაცია 8 დეკემბერს შედგა, რომელიც 2016 წლის თებერვლიდან ივლისის ჩათვლით არსებულ საანგარიშო პერიოდს მოიცავს.¹⁴

ამჯერად წარმოგიდგენთ საიას სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთერთმეტე ანგარიშს, რომელიც მოიცავს მონაცემებს 2016 წლის სექტემბრიდან 2017 წლის თებერვლის ჩათვლით.

წინამდებარე ანგარიშში მოცემული ყველა ინფორმაცია მიღებულია სხდომებზე დასწრებისა და მათზე დაკვირვების შედეგად. საიას დამკვირვებლები არ ესაუბრებოდნენ მხარეებს და არ განიხილავდნენ საქმის მასალებს ან შემაჯამებელ გადანყვეტილებებს.

⁶ სასამართლო მონიტორინგის პირველი ანგარიში: <https://goo.gl/XzPmqh>;
სასამართლო მონიტორინგის მეორე ანგარიში: <https://goo.gl/nMoeXj>.

⁷ სასამართლო მონიტორინგის მესამე ანგარიში: <https://gvla.ge/files/monitoringis%20angariSi3.pdf>.

⁸ სასამართლო მონიტორინგის მეოთხე ანგარიში: <https://goo.gl/qvdpMY>.

⁹ სასამართლო მონიტორინგის მეხუთე ანგარიში: <https://goo.gl/rt2jp3>.

¹⁰ სასამართლო მონიტორინგის მეექვსე ანგარიში: <https://goo.gl/yIt9FY>.

¹¹ სასამართლო მონიტორინგის სამწლიანი შედეგების შეჯამება: <https://goo.gl/6RIIXo>.

¹² სასამართლო მონიტორინგის მეშვიდე ანგარიში: <https://goo.gl/7WsVEK>.

¹³ სასამართლო მონიტორინგის მერვე ანგარიში: <http://bit.ly/2dX5hrH>.

¹⁴ სასამართლო მონიტორინგის მეცხრე ანგარიში: <http://bit.ly/2m6TwtJ>.

გასული მონიტორინგების მსგავსად, საიას დამკვირვებლები იყენებდნენ კითხვარებს, რომლებიც კონკრეტულად მონიტორინგის პროექტისთვის მომზადდა. მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია და სასამართლოს საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ შიდა კანონმდებლობასთან შეფასდა საიას ანალიტიკოსისა და იურისტების მიერ.

კითხვარები მოიცავდა როგორც „დახურულ“ კითხვებს, რომლებზე პასუხიც შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ასევე „ღია“ კითხვებს, რომლებიც მონიტორებს საშუალებას აძლევდა, ვრცლად აეხსნათ და დაეფიქსირებინათ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, საიას მონიტორები, გარკვეულ შემთხვევებში, აწარმოებდნენ ჩანაწერებს სასამართლო განხილვებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუამდგომლობების შესახებ, რაც უფრო მეტ სიცხადესა და კონტექსტს ანიჭებდა მათ მუშაობას. ამ პროცედურის საშუალებით, მონიტორებმა მოახერხეს ობიექტური, გაზომვადი მონაცემების შეგროვება და, იმავდროულად, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების იდენტიფიცირება. ამ ანგარიშის დანართები, შესაძლოა, სრულად არ ასახავდეს ამ, გარკვეულწილად, სუბიექტურ შეფასებებს, თუმცა, საიას დასკვნა მთლიანობაში ეფუძნება მონიტორების მიერ მოპოვებული სრული ინფორმაციის ანალიზს.

ანგარიშს არ აქვს პრეტენზია, რომ განიხილოს, დაამუშაოს სასამართლოებში მიმდინარე ყველა პროცესი თუ სხდომა, თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაცია მნიშვნელოვან და საყურადღებო მონაცემებს შეიცავს როგორც სასამართლო სისტემის, პროკურატურისა და ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის, ისე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. აგრეთვე, სასამართლო მონიტორინგის მიმდინარე საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სხდომის მონაწილეთა მიერ გაკეთებული განცხადებებისა და საქმის მასალების შინაარსის შესწავლა. კერძოდ, საიას არ გაუკეთებია ანალიზი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებულ გარემოებებსა და განსაზღვრავდა პირის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობას.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების ხანგრძლივობისა და ეტაპების გათვალისწინებით, საიას დამკვირვებლები, როგორც წესი, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ესწრებოდნენ ინდივიდ-

უალურ სასამართლო პროცესებს და არა – საქმის განხილვის ყველა სხდომას. თუმცა, იყო რამდენიმე გამონაკლისი:

- ე. წ. „გახმაურებული“ საქმეები, სადაც ბრალდებულები იყვნენ ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირები;
- აგრეთვე, საია აკვირდებოდა იმ საქმეებს, რომლებიც შეირჩა უფლებათა უხეში დარღვევების, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან სხვა განსაკუთრებული ფაქტორის გათვალისწინებით.

ზემოხსენებულ საქმეებს საიას მონიტორები, შეძლებისდაგვარად, განხილვის მთელ ეტაპზე ესწრებოდნენ არა მარტო საქალაქო, არამედ სააპელაციო სასამართლოშიც.

2016 წლის სექტემბრიდან 2017 წლის თებერვლის ჩათვლით საიამ 1190 სასამართლო სხდომის მონიტორინგი განახორციელა. მათ შორის:

- 269 – პირველი წარდგენის სხდომა;
- 277 – წინასასამართლო სხდომა;
- 210 – საპროცესო შეთანხმების სხდომა;
- 427 – არსებითი განხილვის სხდომა;
- 7 – სააპელაციო განხილვის სხდომა.

საია იმედს გამოთქვამს, რომ მონიტორინგის პროცესში მოპოვებული ინფორმაცია შექმნის საქართველოს სასამართლოებში არსებული ვითარების უფრო ნათელ სურათს და პოზიტიურ წვლილს შეიტანს სასამართლო რეფორმის შესახებ მიმდინარე დებატებში.

I. პირველი წარდგენის სხდომაზე გამოვლენილი ტენდენციები – ზოგადი მიმოხილვა

1. შესავალი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) 198-ე მუხლის თანახმად, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, სხვა პროცედურებთან ერთად, სასამართლო განიხილავს საკითხს, თუ რომელი ღონისძიება უნდა იყოს გამოყენებული, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელი არ შეეშალოს გამოძიებას მანამ, სანამ საქმეზე საბოლოო განაჩენი დადგება. აღკვეთის ღონისძიება უნდა იყოს დასაბუთებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენება კანონით დადგენილ მიზნებს უნდა შეესაბამებოდეს.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას გააჩნია პრევენციულ-ურუნველმყოფი ხასიათი და მისი მიზანია არა პირის ბრალეულობის მტკიცება, არამედ იგი წარმოადგენს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეშლის პრევენციის საშუალებას.¹⁵

სასამართლოს შეუძლია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რამდენიმე აღკვეთის ღონისძიებიდან ერთ-ერთის გამოყენება: პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, სარდლობის მიერ სამხედრო მოსამსახურის ქცევის მეთვალყურეობა და არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა.

სსსკ-ის 198.3 მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას, პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების არამართებულობა. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების ტვირთი ბრალდების მხარეს აკისრია. დაცვის მხარე არ არის ვალდებული, წარადგინოს მტკიცებულება პროკურორის შუამდგომლობის სან-

¹⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/06/2015 წლის საოქმო ჩანაწერი. №6466 II-40.

ინალმდეგოდ. ამასთან, სსსკ-ის 198.5 მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.

თავის მხრივ, სასამართლოს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ უნდა იყოს დასაბუთებული, რადგან საქმის წარმოების ყოველ ეტაპზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება სამართლიანი სასამართლოს უფლების ნაწილია, რაც გარანტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით¹⁶ და გამყარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მთელი რიგი გადაწყვეტილებებით.¹⁷ ამდენად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არ უნდა ემყარებოდეს გრძნობებს, ინსტინქტებს, წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებებსა თუ არსებულ ურთიერთობებს.

იმავედროულად, მნიშვნელოვანია, რომ სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტის დროს ადვოკატმა კვალიფიციურად, სრულყოფილად და დამაჯერებლად დაიცვას ბრალდებულის საუკეთესო ინტერესები და ამისათვის ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი გამოიყენოს.¹⁸

ორგანიზაციამ, მონიტორინგის განმავლობაში, კვლავ გამოავლინა ხარვეზები მოსამართლეთა, პროკურორთა და ადვოკატთა საქმიანობაში, რომლებიც, გამართული კანონმდებლობის მიუხედავად, არასათანადო პასუხისმგებლობითა და გულისხმიერებით ეკიდებიან ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტით დაცვას პირველი წარდგენის სხდომების დროს.

2. სხდომების ანალიზი

სასამართლო, ძირითადად, კვლავ ორის სახის აღკვეთის ღონისძიებას – გირაოსა და პატიმრობას იყენებს. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, შემცირებულია სხვა

¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 194.2.


¹⁷ E.g., *Hiro Balani v. Spain*, no. 18064/91, 9 December, 1994, §27.

¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 44-ე მუხლი.

სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი.¹⁹ გარდა ამისა, წინა საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, მცირედით გაზრდილია დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი პატიმრობისა და გირაოს გამოყენების თაობაზე. კერძოდ, პატიმრობის გამოყენების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების 14% იყო დაუსაბუთებელი,²⁰ ხოლო გირაოს შეფარდების შესახებ გადაწყვეტილებების 31% იყო დაუსაბუთებელი და ზედმეტად მკაცრი ღონისძიება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით (2011 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის თებერვლის ჩათვლით).

დიაგრამა №1



¹⁹ წინა საანგარიშო პერიოდში სხვა სახის აღკვეთის ღონისძიებები გამოყენებული იყო შემთხვევათა 6%-ში, ამ საანგარიშო პერიოდში კი - სხვა სახის აღკვეთის ღონისძიების მაჩვენებელი 4%-ით განისაზღვრა.

²⁰ წინა საანგარიშო პერიოდში პატიმრობის გამოყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებიდან 10% იყო დასაბუთებელი.

2.1. პროკურატურის მიდგომები

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, პროკურატურა ცდილობდა, უფრო მეტად დაესაბუთებინა შუამდგომლობები აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, თუმცა, სამწუხაროდ, კვლავ იყო შემთხვევები, როდესაც პროკურორის შუამდგომლობებს აბსტრაქტული, შაბლონური ხასიათი ჰქონდა. მართალია, ბრალდების მხარე უთითებდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებსა და საფუძვლებზე, მაგრამ აღნიშნული არგუმენტები ზოგჯერ ბრმად იყო მოყვანილი და არ უკავშირდებოდა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ზოგჯერ ბრალდების მხარე უფრო მეტად აქცენტს აკეთებდა დანაშაულის სიმძიმესა და ბუნებაზე, ვიდრე იმ საფრთხეებსა და რისკებზე, რომელთა არსებობაც საჭიროა აღკვეთის ღონისძიების მიზნის გასამართლებლად. პროკურატურის შუამდგომლობები უფრო მეტად დასაბუთებული იყო პატიმრობის მოთხოვნის დროს, ვიდრე გირაოს შეთავაზების შემთხვევაში. აგრეთვე, ხშირად ბრალდების მხარეს არ ჰქონდა ინფორმაცია ან სათანადო დასაბუთება ბრალდებულის მატერიალური შესაძლებლობების შესახებ.

2.2. სასამართლოს მიდგომები

სასამართლოს გადაწყვეტილებებშიც შეინიშნებოდა ცალკეული პოზიტიური მაგალითები, რომლებიც საუკეთესო და დადებითი პრაქტიკის ნაწილად შეიძლება იყოს მიჩნეული, თუმცა, პატიმრობისა და გირაოს გამოყენების შესახებ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების პროცენტული მაჩვენებლის მატება მიანიშნებს ამ მიმართულებით არსებულ უარყოფით ტენდენციებზე. ზოგჯერ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებისას სასამართლო აბსტრაქტულად აფასებდა საფრთხეებს, რაც არ წარმოადგენს იმ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომლის დროსაც შეიძლება კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მტკიცება.

სასამართლოსა და პროკურატურის მიდგომებიდან გამომდინარე, რჩება შთაბეჭდილება, რომ დანაშაულის სიმძიმე და სასჯელის სიმკაცრე კვლავ წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ძირითად საფუძველს.

2.3. დაცვის მხარის პოზიცია

გარკვეული ხარვეზებია დაცვის მხარესთან მიმართებით. ადვოკატების ასეთი მოუმზადებლობა და პასიურობა აზარალებდა ბრალდებულთა ინტერესებს სამწუხაროდ, იყო შემთხვევები, როდესაც, ნაცვლად იმისა, რომ ადვოკატებს ბრალდებულთა ჭეშმარიტი ინტერესები დაეცვათ, ბრალდების მხარეს ფორმალურად ეწინააღმდეგებოდნენ, პროცესზე მოუმზადებლები მიდიოდნენ ან დადებითად აფასებდნენ პროკურორის მიერ წარდგენილ შუამდგომლობებს. ცალკეულ შემთხვევებში, დაცვის მხარეს ჰქონდა შესაძლებლობა, სასამართლოსთვის დასაბუთებულად მოეთხოვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, ვიდრე პროკურატურა ითხოვდა, თუმცა, ამას არ აკეთებდა, რაც ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ დაცვის მხარე არ იყო ეფექტური და არ იჩენდა სათანადო ძალისხმევას ბრალდებულის საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითები:

- პირველი წარდგენის ერთ-ერთ სხდომაზე ადვოკატმა ვერ შეძლო პოზიციის ჩამოყალიბება. გაუმართავი წინადადებებით საუბრობდა და ამის მიზეზად ქალაქში არყოფნა დაასახელა. მან [ადვოკატმა] სხდომაზე არაერთხელ თქვა, რომ კარგად არ იცნობს საქმის მასალებს და დაზუსტებით არაფრის თქმა არ შეუძლია საქმესთან დაკავშირებით. ადვოკატის ასეთი მოუმზადებლობის ფონზე, დაცვის მხარე საკმაოდ სუსტი აღმოჩნდა ბრალდებასთან შედარებით, რამაც, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მეტად შეუწყო ხელი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებას.
- კიდევ ერთ პირველი წარდგენის სხდომაზე ადვოკატი მოუმზადებელი გამოცხადდა პროცესზე. მან სასამართლო სხდომის დახურვა მოითხოვა და აღნიშნა, რომ საქმის მასალებში იყო ისეთი ინფორმაცია, რომლის გამხელაც არ სურდა მისი დაცვის ქვეშ მყოფს. თუმცა, ადვოკატს ეს შუამდგომლობა სათანადო წერილობითი ფორმით არ ჰქონდა ჩამოყალიბებული. მას [ადვოკატს] არც კანონმდებლობის შესაბამისი ნორმა გამოუყენებია დასაბუთებისათვის და განაცხადა, რომ შესაბამისი კოდექსები თან არ ჰქონდა. მოსამართლემ, დახმარების მიზნით, თავისი კოდექსები

შესთავაზა, თუმცა, ადვოკატის თქმით, შესაძლოა, ზუსტი ნორმები ვერ იპოვოს კოდექსში, რადგან არ ახსოვს.

საბოლოოდ, ადვოკატის ასეთი მოუწესრიგებელი და დაუსაბუთებელი განმარტებების ფონზე, მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

- პირველი წარდგენის კიდევე ერთ სხდომაზე, სადაც პროკურატურა ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა და ამისათვის შესაბამისი არგუმენტები წარმოადგინა, ადვოკატმა განაცხადა: „ჩემდა სამწუხაროდ, პროკურორის ნათქვამის ნახევარზე მეტს ვიზიარებ.“ ასეთივე კმაყოფილება გამოთქვეს ადვოკატებმა პროკურორის შუამდგომლობაზე კიდევე ერთ საქმეში, სადაც ბრალდების მხარემ გირაოს გამოყენება მოითხოვა. ადვოკატებმა განაცხადეს: „მადლობის მეტი რა გვეთქმის, კმაყოფილი ვართ პროკურორის პოზიციით“ (კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ პროკურორმა გირაო მოითხოვა და არა – პატიმრობა).

II. ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება

1. შესავალი

პატიმრობა წარმოადგენს თავისუფლების ალკვეთას. ადამიანის თავისუფლება კი გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

ზემოხსენებული აქტების მიხედვით, პატიმრობა არის უკიდურესი ღონისძიება და ბრალდებულის დაპატიმრების საფუძველი, ბრალის საბოლოო დამტკიცებამდე, არის: ა) პირის მიმალვის საფრთხე; ბ) მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელშეშლის საფრთხე; გ) ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება. პატიმრობის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებები არაეფექტურია. ამასთან, ზემოხსენებული საფრთხეები დამონმებული უნდა იყოს დამაჯერებელი, რელევანტური გარემოებებით და მტკიცებულებებით, ხოლო პატიმრობის გამოყენების თაობაზე მტკიცების ტვირთი ყოველთვის ბრალდების მხარესაა. პროკურორმა მაქსიმალურად უნდა წარმოაჩინოს ფაქტები და ინფორმაცია, რაც დააჩვენებს ობიექტურ დამკვირვებელს, რომ შესაძლოა არსებობდეს პატიმრობის გამოყენების საფუძველი.

ალკვეთის ღონისძიებას არ აქვს სადამსჯელო ხასიათი, ამიტომ მნიშვნელოვანია, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს არა დანაშაულის სიმძიმეს, არამედ არსებული საფრთხეებისა და რისკების შეფასებას, მაგალითად, რამდენად მაღალია იმის საფრთხე, რომ პატიმრობის გამოუყენებლობის შემთხვევაში ბრალდებული მიიმალება, გაანადგურებს მტკიცებულებებს, ახალ დანაშაულს ჩაიდენს და ა.შ.

თავის მხრივ, სასამართლოსაც მართებს, სათანადოდ შეაფასოს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, გაითვალისწინოს რისკებისა და საფრთხეების ხარისხი და დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილებები პატიმრობის გამოყენების შესახებ. სასამართლოს მხრიდან პატიმრობის გამოყენება მაშინ არის დაუსაბუთებელი, როდესაც გადაწყვეტილება არ ეყრდნობა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს, აბსტრაქტულად არის შეფასებული საფრთხეები და სხვა, ნაკლებად მკაცრი ალკვეთის ღონისძიების გამოყენებითაც შესაძლებელია შესაბამისი მიზნების მიღწევა.

მნიშვნელოვანია, რომ უპირატესობა მიენიჭოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა შესაძლებელია გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის სპეციალური ნიშნები, რომლებიც, უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, გადანონის პიროვნების თავისუფლების მოთხოვნებს.²¹ აგრეთვე, ნინასნარი პატიმრობა ყველა შემთხვევაში უნდა იყოს გონივრული და აუცილებელი.²² გარდა ამისა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, პატიმრობა გამოყენებული უნდა იყოს საგამონაკლისო ღონისძიების სახით. ასევე, ის არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის და არ უნდა გამოიყენებოდეს დასჯის მიზნებისათვის.²³

ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოავლინა ზემოხსენებული წესებიდან და სტანდარტებიდან გვერდის ავლის ფაქტები, როდესაც პროკურატურას სათანადოდ არ ჰქონდა არგუმენტირებული პატიმრობის გამოყენება და სასამართლო ასეთ შუამდგომლობებს აკმაყოფილებდა.

2. სასამართლო სხდომების ანალიზი

დანაშაულის სიმძიმე ზოგჯერ გადამწყვეტი ფაქტორი იყო პატიმრობის გამოყენების დროს. აქედან გამომდინარე, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ აღნიშნულ ღონისძიებას უფრო სადამსჯელო ხასიათი ჰქონდა, ვიდრე ემსახურებოდა, მაგალითად, ახალი დანაშაულის ჩადენის პრევენციას, მიმალვის თავიდან აცილებას, მტკიცებულებათა განადგურების ხელშეშლას და ა.შ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მცირედით გაიზარდა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი პატიმრობასთან მიმართებით და, საერთო ჯამში, 14% შეადგინა.²⁴ კერძოდ, პატიმრობის გამოყენების შესახებ მიღებული

²¹ *Labita v. Italy*, no. 26772/95, 6 April, 2000, §152.

²² *Pacuria v. Georgia*, no. 30779/04, 6 November, 2007, §62-65.


²³ Recommendation №R (80)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe concerning Custody Pending Trial.

²⁴ წინა საანგარიშო პერიოდში პატიმრობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებიდან 10% იყო დაუსაბუთებელი.

90 გადაწყვეტილებიდან 13 ბრალდებულის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი და ზედმეტად მკაცრი ღონისძიება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ პრობლემაა ბრალდებისა და სასამართლო ორგანოებისათვის იმის გათავისება, რომ პატიმრობა არის უკიდურესი ღონისძიება და მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე და სასჯელის სიმკაცრე ვერ გამოდგება მისი გამოყენების გასამართლებლად.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს მონიტორინგის მთელი პერიოდის შედეგებს

დიაგრამა №2



წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ბრალდების მხარე ცდილობდა შუამდგომლობების დასაბუთებას პატიმრობის გამოყენების თაობაზე და ამისათვის სათანადო არგუმენტებიც მოჰყავდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში, ბრალდების მხარის მოთხოვნა პატიმრობის გამოყენების თაობაზე იყო ცალსახად დაუსაბუთებელი და მხოლოდ გარემოებებზე აბსტრაქტული მითითებით შემოიფარგლებოდა. აგრეთვე, ბრალდების მხარის მიერ პატიმრობის დასაბუთება კანონში მითითებულ ყველა წინაპირობაზე ერთდროულად აპელირებით, სათანადო დასაბუთების გარეშე, არ ზრდის შუამდგომლობის დასაბუთებულობის ხარისხს. ზოგჯერ ბრალდების მხარე პატიმრობის დასაბუთებლად იშველიებდა დანაშაულის სიმძიმესა

და სასჯელის სიმკაცრეს და არ საუბრობდა არსებული საფრთხეებისა და რისკების რელევანტურობაზე. ასეთ შემთხვევებში, მოსამართლე შუამდგომლობებს არ აკმაყოფილებდა. თუმცა, სასამართლოს მხრიდანაც გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პროკურატურის არასაკმარისი დასაბუთებისა და გარემოებების სათანადოდ შეუფასებლობის მიუხედავად, მაინც პატიმრობა იყო გამოყენებული.

ზემოხსენებულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითები:

➤ პირს ბრალი ედებოდა ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.²⁵ პროკურორმა მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება. ბრალდების მხარემ მხოლოდ ზოგადად მიუთითა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე, დანაშაულის სიმძიმეზე, მტკიცებულებების განადგურებისა და, სასჯელის სიმძიმიდან გამომდინარე, მიმალვის საფრთხეზე. ამ არგუმენტების დასადასტურებლად რაიმე კონკრეტული ფაქტობრივი გარემოება ან მტკიცებულება არ გამოუყენებია.

დაცვის მხარე არ დაეთანხმა შემოთავაზებულ პირობებს და სასამართლოს 10000 ლარის ოდენობით გირაოს გამოყენების თხოვნით მიმართა, ასევე, დამატებით შესთავაზა პასპორტისა და პირადობის მოწმობის ჩამორთმევა. სასამართლო პროცესიდან გაიკვია, რომ ბრალდებული წარსულში არ ყოფილა ნასამართლევი და აღიარებდა დანაშაულის ჩადენას. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ გაითვალისწინა პროკურორის არგუმენტები და პატიმრობა გამოიყენა. პროკურატურისა და სასამართლოს ამგვარი მიდგომები ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ დანაშაულის სიმძიმე და სასჯელის სიმკაცრე, მოცემულ საქმეზე, იყო არსებითი და ძირითადი ფაქტორი პატიმრობის გამოსაყენებლად, მაშინ, როდესაც თუნდაც მაღალი ოდენო-

²⁵ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული - ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაზავნა ან გასაღება, ჩადენილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით.

ბით გირაოს გამოყენება სავსებით საკმარისი იქნებოდა აღკვეთის ღონისძიების მიზნების მისაღწევად.

➤ კიდევ ერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა პროსტიტუციისათვის ადგილის გადაცემის ბრალდებას,²⁶ პროკურორმა მოითხოვა პატიმრობის გამოყენება. პროკურორი მხოლოდ ზოგადად უთითებდა ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და მონმეებზე ზეგავლენის მოხდენის საფრთხეზე, თუმცა, ამის დასადასტურებლად დამაჯერებელი და სარწმუნო არგუმენტები არ წარმოუდგენია. დაცვის მხარემ სასამართლოს შესთავაზა გირაოს გამოყენება 25000 ლარის ოდენობით და აღნიშნა, რომ სასტუმროს ტერიტორია იყო დალუქული და, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელება. ასევე, მიუთითებდა, რომ ბრალდებული არასოდეს ყოფილა სასამართლვეი.

ასეთი ფაქტებისა და გარემოებების მიუხედავად, მოსამართლემ ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა, თუმცა, შეთავაზებული გირაო სრულიად ადეკვატური იქნებოდა აღკვეთის ღონისძიების მიზნების მისაღწევად. იმ ფონზე, რომ პროკურორს არ დაუსაბუთებია ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებლობის არაეფექტურობა, რასაც მას კანონმდებლობა ავალდებულებდა,²⁷ პატიმრობის დაუსაბუთებლობის ხარისხი კიდევ უფრო იზრდება.

აღსანიშნავია, რომ პროკურატურის მხრიდან პატიმრობის მოთხოვნის შემთხვევები არ გაზრდილა და პატიმრობის შეთავაზების პროცენტული მაჩვენებელი თითქმის წინა საანგარიშო პერიოდის


²⁶ სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

²⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია, დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა.

მსგავსია.²⁸ კერძოდ, ბრალდებულთა 43%-ის მიმართ²⁹ ბრალდების მხარემ მოითხოვა პატიმრობის გამოყენება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი პატიმრობების სიხშირეს მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის თებერვლის ჩათვლით).

დიაგრამა №3



მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურის მხრიდან პატიმრობის მოთხოვნის პროცენტული მონაცემები არ არის მომატებული, გაიზარდა სასამართლოს მიერ პატიმრობის დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი. თუ წინა საანგარიშო პერიოდში სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობები შემთხვევათა 60%-ში დააკმაყოფილა, ამ საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი 72%-ით განისაზღვრა. დანარჩენი 28%-დან, შემთხვევათა 27%-ში პატიმრობის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა³⁰

²⁸ წინა საანგარიშო პერიოდში პროკურორმა პატიმრობის გამოყენება ბრალდებულთა 44%-ის მიმართ მოითხოვა.


²⁹ 290 ბრალდებულიდან პროკურატურამ პატიმრობა მოითხოვა 125 ბრალდებულის მიმართ.

³⁰ 125 ბრალდებულიდან, რომელთა მიმართაც პროკურორი პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა, მოსამართლემ 90 ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა, 34 ბრალდებულის მიმართ გირაო გამოიყენა, ხოლო 1 ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვა.

და გირაო გამოიყენა, ხოლო შემთხვევათა 1%-ში, პროკურორის მიერ პატიმრობის მოთხოვნის მიუხედავად, ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე დარჩა. წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაშიც არ დაფიქსირებულა ისეთი შემთხვევა, როდესაც პროკურორმა პატიმრობის გამოყენება მოითხოვა და სასამართლომ გირაოს გარდა სხვა ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიება გამოიყენა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული პატიმრობის შუამდგომლობების ტენდენციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის თებერვლის ჩათვლით).

დიაგრამა №4



ამდენად, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა, რიგ შემთხვევებში, დაუსაბუთებლად გამოიყენება. ზოგჯერ დასაბუთება ეყრდნობოდა სტერეოტიპულ ფორმულირებას და არ იყო წარმოდგენილი დამაჯერებელი და რეალური არგუმენტები პირის პატიმრობაში ყოფნის გასამართლებლად.

III. ალკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება

1. შესავალი

გირაო ალკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახეა, რომლის გამოყენების მიზანია, ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, ალკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელი არ შეუშალოს მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებას. გირაოს შეფარდებისას ბრალდებული იხდის კონკრეტულ თანხას იმის სანაცვლოდ, რომ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე არ დარჩეს პატიმრობაში და უზრუნველყოფილი იყოს მისი სათანადო ქცევა. გირაოს მინიმალური ოდენობა არის 1000 ლარი, ხოლო ბრალდებულს ან იმ პირს, რომელმაც გადაიხადა გირაოს თანხა ან ეკვივალენტური უძრავი ქონება ბრალდებულის სასარგებლოდ, გადახდილი თანხა სრულად უბრუნდება (გირაოს შეტანის დროს არსებული კურსის გათვალისწინებით), ან ქონებას ეხსნება ყადაღა განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში. ზემოხსენებული რეგულაცია მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა მასზე დაკისრებული ვალდებულება შეასრულა ზედმინვნით და გულწრფელად და მის მიმართ გამოყენებული ალკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა უფრო მკაცრი ალკვეთის ღონისძიებით.³¹ გირაოს შერჩევისას და მისი ოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს ბრალდებულის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლი პირდაპირ ავალდებულებს პროკურორს, გირაოს (მისი ოდენობის) მოთხოვნამდე გამოარკვიოს ბრალდებულის ფინანსური (ქონებრივი) მდგომარეობა. ასევე, სასამართლო ვალდებულია, გირაოს შერჩევისა და მისი ოდენობის განსაზღვრისას, სხვა გარემოებებთან³² ერთად, გაითვალისწინოს ბრალდებულის მატერიალური შესაძლებლობები. სასამართლომ იმ შემთხვევაშიც უნდა მიაქციოს ყურადღება აღნიშნულ გარემოებებს, როდესაც პროკურატურა არ წარმოადგენს შესაბამის ინფორმაციას. ამასთან, დაცვის მხარეს არ აკისრია ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება, ვინაიდან ბრალდების მხარის მოვალეობაა, დაასაბუთოს ალკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და პროპორ-

³¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლი.

³² მაგალითად, ბრალდებულის პიროვნება, მისი საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ.

ციულობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, ბრალდებულისათვის გირაოს დაკისრება იყოს პროპორციული და დასაბუთებული. ეს იმას ნიშნავს, რომ გირაო უნდა იყოს ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობის, ასევე, სავარაუდო დანაშაულის პროპორციული. აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების საკითხის გარკვევისას, უნდა მოხდეს ყველა შესაბამისი გარემოების ანალიზი, რათა მოსამართლე დარწმუნდეს, რომ ბრალდებულს აქვს შესაძლებლობა, გადაიხადოს შეფარდებული გირაო. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება დაკისრებული თანხის გადახდა, გირაო შეიძლება შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით – პატიმრობით. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელი და ზედმეტად დიდი ოდენობის გირაო, ფაქტობრივად, შეიძლება პირის პატიმრობას უდრიდეს. დაუსაბუთებელი ან ზედმეტად დიდი ოდენობით გირაოს დაკისრება განსაკუთრებით მაღალი რისკის მატარებელია, როდესაც გამოყენებულია პატიმრობით უზრუნველყოფის ღონისძიება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გირაოს უნდა ჰქონდეს შემაკავებელი ეფექტი, კერძოდ, ბრალდებულს აღნიშნული ქონების დაკარგვა უნდა უქმნიდეს მნიშვნელოვან მატერიალურ დანაკლისს, რის გამოც შეეცდება, შეასრულოს გირაოს პირობები.³³

გარდა ეროვნული კანონმდებლობისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ გირაოს ოდენობის განსაზღვრისას უნდა შეფასდეს პირის ქონება და მისი ურთიერთობა იმ პირთან, რომელიც უზრუნველყოფს გირაოს თანხის გადახდას.³⁴ აგრეთვე, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას იგივე გულმოდგინება ეკისრება სახელმწიფოებს, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის აუცილებლობის გადაწყვეტისას.³⁵

ორგანიზაციამ გამოავლინა ზემოხსენებული წესებისა და სტანდარტების დარღვევის შემთხვევები, როდესაც ბრალდების მხარე დაუსაბუთებლად ითხოვდა გირაოს გამოყენებას და არ ჰქონდა ინფორმაცია ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობის შესახებ. ხშირად, ბრალდების მხარე მხოლოდ გირაოს გამოყენების დასაბუთებით შემოიფარგლებოდა და გირაოს ოდენობასთან

³³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ: გიორგი გიორგაძე, თბილისი, 2015, 577-578.

³⁴ *Neumeister v. Austria*, no.1936/63, 27 June, 1968, §18; *Iwanczuk v. Poland*, no. 25196/94, 15 November, 2001, §66-70.

³⁵ *Iwanczuk V. Poland*, no. 25196/94, 15 November, 2001, §66-70.

დაკავშირებით საუბარს თავს არიდებდა. ასევე, მართალია, სასამართლო ცდილობდა პირი ქონებრივი შესაძლებლობების დადგენას, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში, ბრალდებულების მიმართ გამოყენებული გირაო არ იყო ზომიერი და სათანადო ღონისძიება.

2. სასამართლო სხდომების ანალიზი


სასამართლო სხდომების მონიტორინგმა აჩვენა, რომ კიდევ უფრო გაიზარდა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი გირაოს გამოყენების თაობაზე და 31% შეადგინა.³⁶ პროკურორები ზოგჯერ სათანადოდ არ ასაბუთებდნენ გირაოს გამოყენების აუცილებლობას და, პატიმრობასთან შედარებით, ნაკლებ ძალისხმევას იჩენდნენ მისი მიზანშეწონილობის გასამართლებლად. ცალკეულ შემთხვევებში, ბრალდების მხარე საერთოდ არ საუბრობდა აღკვეთის ღონისძიების მიზნებსა და საფრთხეებზე და მხოლოდ წარდგენილი ბრალდების შინაარსს კითხულობდა. აგრეთვე, ზოგჯერ, მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი საფრთხეების აბსტრაქტულად არსებობაზე მიუთითებდა, მოსამართლე ასეთ შუამდგომლობებს აკმაყოფილებდა და არასათანადო გულმოდგინებით ეკიდებოდა აღნიშნული ღონისძიების საფუძვლიანობისა და მიზანშეწონილობის შემოწმებას.³⁷

³⁶ წინა საანგარიშო პერიოდში გირაოს გამოყენება 28%-ის შემთხვევაში იყო დაუსაბუთებელი.

³⁷ ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ გირაო დაუსაბუთებელია, როდესაც, მაგალითად: მოსამართლეები გირაოს შეფარდების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების გადაწყვეტილებას იღებენ პროკურატურის მხრიდან სათანადო დასაბუთების წარდგენის გარეშე, რაც უნდა ეფუძნებოდეს წარდგენილ ბრალს, ბრალდებულის პიროვნებას, მის ფინანსურ შესაძლებლობებსა და საქმისათვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებებს. მოსამართლეთა მხრიდან ამ გარემოებების გამოურკვევლობა კიდევ უფრო საზიანოა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს არ ჰყავს ადვოკატი; ბრალდების მხარის მოთხოვნის მიუხედავად, პატიმრობის ნაცვლად გირაოს დაკისრების შემთხვევაში, მოსამართლეები არ იკვლევენ ბრალდებულის ფინანსურ მდგომარეობასა და გირაოს დაკისრებისათვის სხვა მნიშვნელოვან გარემოებებს; მართალია, დაცვის მხარე ეთანხმება პროკურორს გირაოს გამოყენების შესახებ, თუმცა, მიუხედავად დაცვის მხარის თანხმობისა გირაოს გამოყენების თაობაზე, საიამ სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაო მაინც დაუსაბუთებლად მიიჩნია, ვინაიდან დაცვის მხარის თანხმობა ან სურვილი გირაოს თანხის გადახდასთან დაკავშირებით არ ამაფრუებს ან ანეიტრალურებს იმ საფრთხეებს, რომელთა გამოც აღკვეთის კონკრეტული ღონისძიება გამოიყენება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს გირაოს დაუსაბუთებლად გამოყენების ტენდენციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის თებერვლის ჩათვლით).

დიაგრამა №5



ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითები:

➤ პირს ბრალი ედებოდა ქურდობის ჩადენაში, რომელიც ნაკლებად მძიმე დანაშაულია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3-დან 5 წლამდე ვადით. ბრალდების მხარემ მოითხოვა გირაოს გამოყენება 3000 ლარის ოდენობით და აღნიშნა, რომ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და მიმალვის საფრთხეები არსებობდა, თუმცა, ამის არგუმენტად მხოლოდ სასჯელის სიმკაცრე და დანაშაულის ხასიათი მოიშველია (პროკურორის განმარტებით, ბრალდებულს ბრალი ედებოდა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული განზრახი დანაშაულისთვის). დაცვის მხარე არ დაეთანხმა შემოთავაზებულ პირობებს და აღნიშნა, რომ ბრალდებულს 300 ლარამდე აქვს შემოსავალი და 3 ავადმყოფ პიროვნებას არჩენს. აგრეთვე, განაცხადა, რომ ბრალდებულსაც აქვს ჯანმრთელობის პრობლემები. დამატებით ისიც გაიკვია, რომ ბრალდებულს დაკავების დროს მიმალ-

ვა არ უცდია. საბოლოოდ, მოსამართლემ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულის მიმართ გამოიყენა გირაო 1500 ლარის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ დაცვას რაიმე კონკრეტული აღკვეთის ღონისძიება არ შეუთავაზებია, მიგვაჩნია, რომ გირაო არ იყო ადეკვატური და პროპორციული ღონისძიება. ბრალდებული არასოდეს ყოფილა წარსულში ნასამართლევნი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევაც კი არ უფიქსირდებოდა. ჰყავდა მცირენივანი შვილები. ბრალდებულს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ჰქონდა თბილისში და ვერ დასაბუთდა მისი მხრიდან მიმალვისა და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე. ამ ყველაფრის ფონზე, გამოყენებულმა გირაომ ზედმეტად მკაცრი ღონისძიების შთაბეჭდილება დატოვა.

- კიდევ ერთ საქმეში, რომელიც ეხებოდა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარების ფაქტს, პროკურორმა ისე მოითხოვა გირაოს გამოყენება 1000 ლარის ოდენობით, რომ ბრალდებულის მატერიალურ შესაძლებლობებზე არაფერი უთქვამს. ბრალდების მხარემ მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელების საფრთხის არსებობაზე მიუთითა, თუმცა, არ დაუსაბუთებია და ამის დამადასტურებელი ფაქტები ან არგუმენტები არ წარმოუდგენია. პროცესიდან გაირკვა, რომ ბრალდებული წარსულში არ ყოფილა ნასამართლევნი და იგი აღიარებდა დანაშაულის ჩადენას. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ სრულად დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და ბრალდებულს გირაო შეუფარდა, რაც ასევე არაგონივრული ღონისძიება იყო.
- პროკურორმა 2000 ლარის ოდენობით გირაოს გამოყენება მოითხოვა ქურდობის საქმეში. ბრალდების მხარის განმარტებით, ბრალდებული ფარულად დაეუფლა საფულეს, რითაც დაზარალებულს მიაყენა 15 ლარის ზიანი. პროკურორმა მხოლოდ მიმალვისა და დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხე დაასახელა, რასაც ასაბუთებდა მხოლოდ დანაშაულის ხასიათითა და მოსალოდნელი მკაცრი სასჯელით. დაცვის მხარემ მოითხოვა პირადი თავდებობის გამოყენება და სხდომაზე წარმოადგინა 4 თავდები, რომლებიც საკუთარ თავზე აიღებდნენ ბრალდებულის სათანადო ქცევას. პროცესიდან ისიც გაირკვა, რომ ბრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა მძიმე მატერიალ-

ური სიდუხჭირის გამო და მისი ოჯახი იყო სოციალურად დაუცველი. საბოლოოდ, მოსამართლემ პროკურორის არგუმენტები გაიზიარა და ბრალდებულს დააკისრა გირაოს გადახდა 1000 ლარის ოდენობით, რაც დაუსაბუთებელია, ვინაიდან, პირადი თავდებობის გამოყენების შემთხვევაშიც, შესაძლებელი იქნებოდა აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა.

კიდევ უფრო შემამფოთებელი და მიზანშეუწონელია შემთხვევები, როდესაც სასამართლო ასაბუთებდა გადანყევტილებას გირაოს გამოყენების თაობაზე და მტკიცებით ფორმატში საუბრობდა დანაშაულის დეტალებზე, რაც ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას სადამსჯელო ხასიათი ჰქონდა და მოსამართლე კიცხავდა ბრალდებულს სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გამო.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითი:

პირველი წარდგენის სხდომაზე, სადაც განიხილებოდა ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის საკითხი – ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში – რომელსაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება მოჰყვა, პროკურორმა მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება 2000 ლარის ოდენობით და მხოლოდ ბრალდების არსი წაიკითხა (აღკვეთის ღონისძიების მიზნებსა და საფრთხეებზე საერთოდ არ უსაუბრია). მოსამართლემ სრულად დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და აღნიშნა, რომ, რადგან დანაშაულის ჩადენა მოხდა მთვრალ მდგომარეობაში, გირაოს გამოყენებლობა შეიძლება წამახალისებელი იყოს ბრალდებულისთვის და ისევ მოიხმაროს ალკოჰოლი.

მართალია, მოცემული შემთხვევა მძიმე დანაშაულს წარმოადგენს, თუმცა, აღკვეთის ღონისძიების მიზანი არ არის პირის დამნაშავეობისა თუ უდანაშაულობის მტკიცება და ყურადღება ნაკლებად ექცევა დანაშაულის სიმძიმესა და კატეგორიას. ეს გარემოებები საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე უნდა შეფასდეს განაჩენის გამოტანის დროს.

განსაკუთრებული პრობლემაა გირაოს ოდენობის დასაბუთების საკითხი. ბრალდების მხარეს ხშირად არ აქვს შესწავლილი ბრალდებულთა გადახდისუნარიანობა. შემთხვევათა 87%-ში პროკურორს არ წარმოუდგენია დასაბუთება ან სათანადო არგუმენტაცია ბრალდებულთა მატერიალური შესაძლებლობების შესახებ. ზოგჯერ მოსამართლე ეკითხებოდა პროკურორს, როგორ განსაზღვრა გირაოს ოდენობა, თუმცა, ბრალდების მხარეს დამაჯერებელი და სათანადო არგუმენტები არ ჰქონდა. პროკურორი მხოლოდ ბლანკეტურად უთითებდა, რომ ბრალდებული არ იყო სოციალურად დაუცველი, მაგრამ არ ჰქონდა გამოკვლეული, შეძლებდა თუ არა იგი გირაოს გადახდას ან შესაბამისი ქონებით გირაოს უზრუნველყოფას. განსაკუთრებით საგანგაშო და შემამფოთებელია ის ფაქტი, რომ ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი გირაოს თანხის ოდენობა მთლიანად ემყარებოდა მხოლოდ ქმედების სიმძიმესა და ბრალდებულის პიროვნებას და არა – მის მატერიალურ შესაძლებლობებს. მაგალითად, ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლემ ჰკითხა პროკურორს, რა ინფორმაცია ჰქონდა ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობის შესახებ, რაზეც ბრალდების მხარემ უპასუხა, რომ დანაშაულის სიმძიმეიდან და ხასიათიდან გამომდინარე იხელმძღვანელა. დამატებით ისიც აღნიშნა, რომ მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია ჰქონდა და, სამწუხაროდ, რაიმე სახის დოკუმენტი არ მოუძიებია. ამ ყველაფრის ფონზე, პროკურორი ითხოვდა გირაოს გამოყენებას 7000 ლარის ოდენობით. კიდევ ერთ საქმეში ადვოკატმა ჰკითხა პროკურორს, რა ინფორმაცია ჰქონდა ბრალდებულების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რაზეც პროკურორმა უპასუხა, რომ ამის გამოკვლევა მის მოვალეობაში არ შედიოდა.


მართალია, ასეთ შემთხვევებში, სასამართლო ცდილობდა, თავად დაედგინა ბრალდებულისგან მისი მატერიალური შესაძლებლობები, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველი ასეთი გამორკვევის შედეგად [სასამართლოს მიერ] მიღებული გადაწყვეტილება იყო დასაბუთებული. ასევე, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც ბრალდებულს გირაო შეეფარდა მისი ქონებრივი მდგომარეობის შესწავლის გარეშე და სასამართლო საერთოდ არ დაინტერესებულა აღნიშნული საკითხით.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლო ხშირად ამცირებდა პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობას. კერძოდ, ბრალდებულთა 82%-ის შემთხვევაში, მართალია, სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა

გირაოს გამოყენების თაობაზე, თუმცა, იმავდროულად, შეამცირა თანხის ოდენობა. ის ფაქტი, რომ სასამართლო, უმრავლეს შემთხვევაში, ამცირებს პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს თანხას, კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ პროკურატურას სათანადოდ არ აქვს გამოკვლეული ბრალდებულის მატერიალური შესაძლებლობები და არაადეკვატურად, შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის თანხის გადახდას სთხოვს ბრალდებულს, რაც შეიძლება იმაზე მეტ ტვირთს აკისრებდეს პირს, ვიდრე ეს აუცილებელია შესაბამისი მიზნების მისაღწევად. აგრეთვე, დაუსაბუთებლად მაღალი ოდენობით გირაოს გამოყენებას შეიძლება „შეფარული პატიმრობის“ სახე ჰქონდეს. შეუსაბამოდ მაღალი გირაოს გამოყენება არ არის გამართლებული, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს. ასეთ დროს თავიდანვე იქნება მოლოდინი, რომ ბრალდებული ვერ შეძლებს გირაოს გადახდას, რაც ხელოვნურად ხელს შეუწყობს ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სასამართლოს მხრიდან პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობის შემცირების ტენდენცია მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2017 წლის თებერვლის ჩათვლით).

დიაგრამა №6



მიუხედავად ზემოხსენებული უარყოფითი შემთხვევებისა, დაფიქსირდა მოსამართლეების დადებითი და პოზიტიური მიდგომებიც, სადაც სასამართლომ ადეკვატურად, მაღალი პასუხისმგებლობით შეაფასა პროკურორის შუამდგომლობები და ბრალდებულის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითი:

პირს ბრალი ედებოდა ქურდობის მცდელობაში. როგორც სასამართლო პროცესიდან გაირკვა, ბრალდებული ფარულად დაეუფლა 1 ცალ სახის კრემს, რომლის ღირებულება შეადგენდა 25.60 ლარს. ბრალდების მხარემ მოითხოვა გირაოს გამოყენება 2000 ლარის ოდენობით და მიუთითა დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების საფრთხეზე, ვინაიდან ბრალდებული იყო ნასამართლევი (უცნობია, რომელი დანაშაულისათვის), თუმცა, 2013 წელს პრეზიდენტმა შეიწყალა.

ბრალდებული არ დაეთანხმა შუამდგომლობას და აღნიშნა, რომ ორი მცირეწლოვანი ბავშვი ჰყავს, მისი მეუღლე უმუშევარია, ბინაში ქირით უწევს ცხოვრება და არ გააჩნია საკმარისი შემოსავალი ამ თანხის გადასახდელად. ბრალდებულმა სასამართლოს პირადი თავდებობის გამოყენება შესთავაზა და აღნიშნა, რომ თავისი მეუღლე შეძლებდა თავდებად ყოფნას.

საბოლოოდ, მოსამართლემ დეტალურად გამოარკვია ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობები, ადეკვატურად შეაფასა საფრთხეები და ბრალდებულის მიმართ პირადი თავდებობა გამოიყენა.

ბრალდების მხარის შუამდგომლობები გირაოს გამოყენების თაობაზე და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

ამ საანგარიშო პერიოდში პროკურორმა ბრალდებულთა 54%-ის მიმართ (290 ბრალდებულიდან 157-ის მიმართ) მოითხოვა გირაოს გამოყენება. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელი გაზრდილია (წინა საანგარიშო პერიოდში გირაოს მოთხოვნის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 51%). აქედან, სასამართლომ 132 (84%) შუამდგომლობა დააკმაყოფილა, თუმცა, 108 (82%) შემთხვევაში – შეამცირა გირაოს ოდენობა. გირაოს თანხა 1000-დან 100.000 ლარამდე მერყეობდა.

რაც შეეხება დანარჩენ 25 (16%) შემთხვევას, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის მოთხოვნა გირაოს გამოყენების თაობაზე. აქედან, 13 (52%) ბრალდებული დატოვა ალკვეთის ღონისძიების გარეშე, 10 (40%) შემთხვევაში შეუფარდა გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, ხოლო 2 (8%) შემთხვევაში გამოიყენა პირადი თავდებობა. სასამართლოს მხრიდან ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებისა და ბრალდებულის ალკვეთის გარეშე დატოვების ფაქტები დადებით შეფასებას იმსახურებს.

სასამართლოს მხრიდან ალკვეთის ღონისძიების გამოუყენებლობის გარდა, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც პროკურორმა არ მოითხოვა ალკვეთის ღონისძიების გამოყენება. ასეთ 8 (3%) შემთხვევას ჰქონდა ადგილის, თუმცა, ამის მიზეზი გახდა ის, რომ ბრალდებული სხვა საქმეზე უკვე იყო მსჯავრდებული ან სხვა საქმეზე შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა ალკვეთის ღონისძიების სახით. 1 შემთხვევაში ალკვეთის ღონისძიების მოთხოვნაზე უარის თქმის მიზეზი პროცესზე არ გამოვლენილა.

ამდენად, წარმოდგენილი მონაცემები ცხადყოფს, რომ ბრალდებისა და სასამართლო ორგანოები სათანადო გულისხმიერებით არ ეკიდებიან გირაოს დასაბუთებას, რაც ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ გამოყენებული გირაო იმაზე მეტ ტვირთს აკისრებს ბრალდებულს, ვიდრე საჭიროა ალკვეთის ღონისძიების მიზნების მისაღწევად. გირაოს დაუსაბუთებლად გამოყენება შეიძლება პატიმრობის ტოლფასი გახდეს.

IV. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან

1. შესავალი

წამება და არასათანადო მოპყრობა აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და ეროვნული კანონმდებლობით. აღნიშნული აკრძალვები უზრუნველყოფს ინდივიდის დაცვას წამებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან. მნიშვნელოვანია, რომ ამ უფლების სათანადოდ დასაცავად პირმა იცოდეს თავისი უფლებები. სასამართლო სხდომებზე მოსამართლე ვალდებულია, ბრალდებულს განუმარტოს, რომ მის მიმართ წამების ან არაპუმანური მოპყრობის შემთხვევაში, აქვს საჩივრის (სარჩელის) შეტანის უფლება. იმავდროულად, მოსამართლე არკვევს, აქვს თუ არა რაიმე საჩივარი ან შუამდგომლობა ბრალდებულს მისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.³⁸ ეს ვალდებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როცა პირი არის დაკავებული ან იმყოფება პატიმრობაში და, შესაბამისად, სრულ ფიზიკურ კონტროლს განიცდის სახელმწიფოს მხრიდან. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლის ეს ზედამხედველობა იყოს ეფექტური და, როგორც ნეიტრალური ზედამხედველი, დაეხმაროს ბრალდებულს, რომ მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, სწორად წარმართოს შესაბამისი პროცედურები. კანონმდებლობით, მოსამართლეს მხოლოდ ეს შესაძლებლობა აქვს და მას არ გააჩნია მსგავს ფაქტებზე ეფექტური რეაგირების დამატებითი ბერკეტები.

გარდა ამისა, როდესაც სასამართლო პროცესებიდან გამომდინარე, ბრალდების მხარისათვის ცნობილი ხდება, რომ შესაძლოა ბრალდებული ან სხვა პირი არის წამების/არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი, იგი ვალდებულია, დაიწყოს გამოძიება.³⁹

საიამ სასამართლო სხდომებზე დასწრების შედეგად გამოავლინა მოსამართლის არასაკმარისი შესაძლებლობები სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე რეაგირების თვალსაზრისით, რაც კანონმდებლობის ხარვეზით არის განპირობებული. ასევე, რიგ შემთხვევებში, გამოვლინდა ბრალდების მხარის უმოქმედობა, რაც გამოიხატა გამოძიების დაწყებისაგან თავის არიდებაში.

³⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 197-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტები.

³⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მე-100 და 101-ე მუხლები.

2. ანალიზი

კვლავ პრობლემას წარმოადგენს საკანონმდებლო ხარვეზები მოსამართლის არასაკმარის როლთან დაკავშირებით სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის საქმეებზე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ განუმარტოს ბრალდებულს მისი უფლებები არასათანადო მოპყრობის აკრძალვის შესახებ და მოისმინოს ინფორმაცია არასათანადო მოპყრობის სავარაუდოდ ფაქტებთან დაკავშირებით. კანონი არ ადგენს პროცედურას, რომლითაც მოსამართლეს შესაძლებლობა ექნება, გაატაროს ქმედითი ზომები, როდესაც სახეზეა სავარაუდოდ წამების ან არასათანადო მოპყრობის ნიშნები. მოსამართლე უფლებამოსილია, მხოლოდ ჰკითხოს ბრალდებულს, ჰქონდა თუ არა ადგილი მის მიმართ არასათანადო მოპყრობას, რაც არ არის საკმარისი და ეფექტური მექანიზმი ასეთ ფაქტებზე ადეკვატური რეაგირებისთვის.

სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე ბრალდებულები ან პროცესის მონაწილეები საუბრობდნენ, რომ იყვნენ წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლები სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა მხრიდან, მაგრამ ზოგჯერ მოსამართლეებისა და პროკურორების რეაგირება არ იყო ეფექტური და ადეკვატური. მაგალითად, პირველი წარდგენის სხდომაზე ასეთი 5 შემთხვევა დაფიქსირდა. სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის შესახებ პროცესის მონაწილეები წინასასამართლო და არსებითი განხილვის სხდომებზეც საუბრობდნენ.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია შესაბამისი მაგალითები:

აღნიშნული შემთხვევები აღწერს როგორც ბრალდებულთა მიმართ განხორციელებული სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობის ან წამების მასშტაბურობას, ისე სასამართლოს ფორმალურ, არასაკმარის როლს ასეთ ფაქტებზე რეაგირების თვალსაზრისით.

- პირს ბრალი ედებოდა პოლიციელის მიმართ განხორციელებულ თავდასხმაში. პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებულმა განაცხადა, რომ პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ სცემეს, სველ პირსახოცსა და ფეხ-

ებს ურტყამდნენ, ასევე, აგინებდნენ და სახეში აფურთხებდნენ. გარდა ამისა, ბრალდებულს ეტყობოდა სხეულზე არსებული დაზიანებები.

პროკურორმა განაცხადა, რომ მისთვის ცნობილი იყო ეს ფაქტი, მაგრამ არ გააჰკვირვებია ბრალდებულის სხეულზე დაზიანებების არსებობა, რადგან პირს ბრალი ედებოდა პოლიციელის თავდასხმაში და ეს დაზიანებები სამართალდამცავების მხრიდან პროპორციული ძალის გამოყენების შედეგი ეგონა. ბრალდების მხარემ ისიც განმარტა, რომ მას შემდეგ, რაც ბრალდებულისგან აღნიშნული დეტალები მოისმინა, ზემდგომ პროკურორს აცნობა. თუმცა, რა რეაგირება მოჰყვა ამ შემთხვევას, დამატებითი განმარტება აღარ გაკეთებულა.

ამ ყველაფრის ფონზე, მოსამართლემ მხოლოდ ის განაცხადა, რომ ზედაპირული მიდგომების ნაცვლად, რეალური ზომები უნდა გატარდეს.

➤ კიდევ ერთ პროცესზე, რომლის წინასასამართლო განხილვაც მიმდინარეობდა, ბრალდებულმა განაცხადა, რომ დაკავებისას მას პოლიციის თანამშრომლები ფიზიკურად გაუსწორდნენ. კერძოდ, იმ დროს, როდესაც პოლიციაში ჩაბარებასა და დანაშაულის აღიარებას აპირებდა, სამართალდამცავებმა ბრალდებული მდინარეზე ჩაიყვანეს და დახრჩობით ემუქრებოდნენ, თუ დანაშაულს არ აღიარებდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, მოსამართლემ განმარტა, რომ სასამართლო არ არის დევნის ორგანო და ბრალდებულს აქვს უფლება, შესაბამის ორგანოში შეიტანოს საჩივარი. მოსამართლე მხოლოდ ასეთი განმარტებით შემოიფარგლა და პროკურორს გამოძიების დანყების ან სხვა სახის რეაგირებისკენ არ მოუწოდა.

ამ საქმესთან დაკავშირებით, სამართალწარმოების შემდეგ ეტაპზე (არსებითი განხილვის სხდომაზე) ბრალდებულმა კვლავ ისაუბრა მის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. ბრალდებულის განმარტებით, მას შემდეგ, რაც აღიარა დანაშაულის ჩადენა, გადაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში, სადაც მას ფიზიკურად გაუსწორდა პოლიციის ფორმიანი რამდენი პირი.

მან [ბრალდებულმა] დამატებით ისიც აღნიშნა, რომ არ იცის, რა დოკუმენტზე მოაწერა ხელი და არ წაუკითხავს, რადგან სურდა, მალე დასრულებულიყო მისი ცემა. პროცესზე ბრალდებულმა იმაზეც ისაუბრა, რომ მიყენებული დაზიანებების გამო, ახლაც სტკივა ნეკნები.

ამ ეტაპზე მოსამართლე უფრო აქტიური იყო და პროკურორს მოუწოდა, სასწრაფოდ დაენწყოთ გამოძიება, რადგან ბრალდებულის მიერ მოყვანილი ფაქტები სავარაუდო წამების ნიშნებს შეიცავდა. მოსამართლემ ისიც გაარკვია, რომ ამ ფაქტებზე ბრალდებული წინასასამართლო სხდომაზეც საუბრობდა⁴⁰ და პროკურორმა ამის შესახებ იცოდა, თუმცა, გამოძიება არ დაუწყია.

სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე ისაუბრა არსებითი განხილვის დროს ერთ-ერთმა მოწმემ, რომელიც დავით ახალაიასა⁴¹ და გიორგი დგებუაძის⁴² წინააღმდეგ მიმდინარე საქმეზე დაიკითხა.⁴³

მონმის განმარტებით, პროკურატურას სურდა მისგან სასურველი ჩვენების მიღება, რის გამოც მასზე ზეწოლა განახორციელეს.⁴⁴ აგრეთვე, აღნიშნა, რომ ემუქრებოდნენ, თუ შესაბამის ჩვენებას არ მისცემდა, მის წინააღმდეგ საქმეს აღძრავდნენ. მონმემ ასევე მიუთითა, რომ განცხადება შეიტანა პროკურატურაში გამოძიების დაწყების თაობაზე, თუმცა, ამას სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია.

⁴⁰ წინასასამართლო სხდომაზე საქმე სხვა მოსამართლემ განიხილა, შესაბამისად, საქმის არსებითი განხილვის მოსამართლისთვის უცნობი იყო მანამდე არსებული გარემოებები.

⁴¹ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ-ის) ყოფილი უფროსი.

⁴² კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ-ის) ყოფილი მაღალჩინოსანი.

⁴³ დავით ახალაია და გიორგი დგებუაძე სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

⁴⁴ მოწმე საუბრობდა ე.წ. ნავთლულის სპეცოპერაციის“ საქმის დროს განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე, რომელიც მოსამართლე ბესიკ ზუგანიშვილმა განიხილა. ამ შემთხვევიდან ცალკე წარმოების სახით იყო გამოყოფილი კიდევ ერთი საქმე, რომელიც მიმდინარეობდა დავით ახალაიასა და გიორგი დგებუაძის წინააღმდეგ. აღნიშნული მოწმე დაიკითხა როგორც პირველ საქმეზე, ისე ამ გამოყოფილ საქმეზე. სწორედ პირველი საქმის წარმოების დროს განხორციელებულ სავარაუდო ზეწოლაზე მიუთითებდა მოწმე.

ბრალდების მხარე დაინტერესდა ამ ფაქტებით და მოწმეს მიმართა, თავის დროზე რატომ არ თქვა საჯაროდ ამის შესახებ, რაზეც მოწმემ უპასუხა, რომ მასზე არაერთგზის განხორციელდა ზენოლა და ამ პირობებში არ შეეძლო, რაიმე ეთქვა. ამასთან, სწორედ ზენოლის გამო, ჩვენების მიცემის დროს განაცხადა, რომ მის მიმართ არანაირ მუქარას ადგილი არ ჰქონია. აღნიშნული ფაქტების გარდა, სასამართლო პროცესზე მოწმემ სავარაუდო ზენოლის განმარტებულ პირთა სახელები და გვარებიც დაასახელა.

ზემოხსენებული მაგალითები კიდევ ერთხელ მიანიშნებს მოსამართლის ფორმალურ როლზე სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოაშკარავებისას და მიუთითებს ამ მიმართულებით სასამართლოს როლისა და უფლებამოსილების გაზრდის აუცილებლობაზე. მნიშვნელოვანია, რომ ყოველი ასეთი შემთხვევის აღმოჩენისას, მოსამართლეს გააჩნდეს შესაბამისი სამართლებრივი ბერკეტი, მოითხოვოს გამოძიების დაწყება და დამნაშავეთა დასჯა კანონის შესაბამისად. გარდა მოსამართლის უფლებამოსილებისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ასეთ ფაქტებზე რეაგირება მოხდეს დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების მხრიდან, რომელსაც ექნება მონოპოლია, გამოიძიოს ნამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები და დევნა დაიწყოს შესაბამისი პირების მიმართ.

ამდენად, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს სასამართლო პროცესებზე გამოვლენილ სავარაუდო ნამების ან არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით ეფექტური და ადეკვატური ზომების გატარებას, რაც, საკანონმდებლო ხარვეზთან ერთად, პროკურატურის უმოქმედობითაც არის განპირობებული, როდესაც ყურადღების მიღმა ტოვებს ასეთ შემთხვევებს და არ იწყებს გამოძიებას.

V. გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება და სასამართლო კონტროლი

1. შესავალი

ჩხრეკა და ამოღება წარმოადგენს პირის პირადი ცხოვრების უფლებაში მასშტაბურ ჩარევას, რომლის საფუძველზეც ხდება საქმისათვის მნიშვნელოვანი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა საშუალების მოძებნა, ამოღება და საქმეზე მისი გამოყენება. აღნიშნულის გამო, კანონმდებლობის მიხედვით, ჩხრეკა და ამოღება, ძირითად შემთხვევებში, ტარდება სასამართლოს წინასწარი ნებართვით. თუმცა, როდესაც არსებობს ისეთი უკიდურესი ვითარება, რომ ჩხრეკის ან ამოღების დაწყების თუნდაც მცირე ხნით დაყოვნებამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შესაძლებელია, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდეს სასამართლოს ნებართვის გარეშე, პროკურორის ან გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე.⁴⁵ ამდენად, კანონმდებლის მოთხოვნაა, ჩხრეკა და ამოღება გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ჩატარდეს და ძირითად წესად საგამოძიებო მოქმედებების დაწყებამდე სასამართლოს მხრიდან ნებართვის გაცემას განსაზღვრავს.

მნიშვნელოვანია, რომ ბრალდების ორგანოებმა ჩხრეკის ან ამოღების განხორციელებამდე, ყველა შესაძლო შემთხვევაში, გამოიყენონ აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ძირითადი წესი და მიმართონ სასამართლოს ნებართვის მისაღებად. სასამართლოს განჩინების გარეშე ზემოხსენებული საგამოძიებო მოქმედება უნდა განახორციელონ მხოლოდ გამონაკლის, საგანგებო სიტუაციებში, როდესაც დაყოვნება საფრთხეს უქმნის ჩხრეკის ან ამოღების შედეგებს.⁴⁶ ამასთან, პროკურორმა უნდა დაასაბუთოს, რატომ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება. მხოლოდ ჰიპოთეტური მოსაზრებები ან, კრიმინალური გამოცდილებიდან გამომდინარე, საქმესთან კავშირის არმქონე ვარაუდები არ არის საკმარისი, რომ მათზე დაყრდნობით გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება დასაბუთდეს.

⁴⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის 1-ლი და მე-5 ნაწილები.

⁴⁶ შვაბე, ი. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, 238.

ბრალდების მხარის გარდა, კანონმდებლობა სასამართლოსაც ავალდებულებს, აბსტრაქტული მითითებების ნაცვლად, შეამოწმოს, არსებობდა თუ არა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარება და ჰქონდა თუ არა ბრალდების ორგანოებს უფლება, მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე დაენწყით საგამოძიებო მოქმედება. დასაბუთების ვალდებულება ვრცელდება არა მხოლოდ განაჩენზე, არამედ სასამართლოს ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე,⁴⁷ მათ შორის, ჩხრეკისა და ამოღების შესახებ მიღებულ განჩინებებზე.

გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების პრაქტიკის შესწავლის მიზნით, საიამ გაანალიზა გამოძიების პროცესში განხორციელებული ჩხრეკისა და ამოღების დაკანონების შემთხვევები, რომლებიც გამოვლინდა წინასასამართლო სხდომებზე და ჩატარდა მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე.

2. სასამართლო სხდომების ანალიზი

პროკურატურა კვლავ ძირითადი წესის უგულებელყოფით ატარებს ჩხრეკასა და ამოღებას და ხშირად იყენებს საგამონაკლისო წესს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად. ამდენად, წინა საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, კიდევ უფრო გაიზარდა საგამონაკლისო წესით, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების და მათი კანონიერად ცნობის პროცენტული მაჩვენებელი. შესაბამისად, კანონმდებლობის ზემოხსენებული მოთხოვნები, გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკისა და ამოღების საგამონაკლისო წესით ჩატარებასთან დაკავშირებით, არ სრულდება.

უნდა აღინიშნოს, რომ წინასასამართლო სხდომებზე ყოველთვის ვერ ხდებოდა იმის იდენტიფიცირება, რა პროცედურის გამოყენებით მოხდა ჩხრეკისა და ამოღების განხორციელება. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენთვის მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ ჩხრეკა და ამოღება ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობის ვითარებაში, თუმცა, რა გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ ამ საგამოძიებო მოქმედებების კანონიერებასთან დაკავშირებით, არ გამოკვეთილა.⁴⁸ აღნიშნული საკითხების გა-

⁴⁷ ტრექსელი, შ. „დამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, თბილისი, 2009, 126.


⁴⁸ 19 შემთხვევაში მხოლოდ ჩხრეკისა და ამოღების გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარების ფაქტი გამოიკვეთა, თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი სხდომაზე არ გაჟღერებულა.

მორკვევა უფრო რთული იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოში, ვინაიდან, ცალკეულ შემთხვევებში, პროკურორი არ კითხულობდა მტკიცებულებების ნუსხას და მხოლოდ შუამდგომლობის ზოგადი მიმოხილვით შემოიფარგლებოდა.

თუმცა, ბრალდების მხარის შუამდგომლობებიდან ან პროცესზე გაჟღერებული გარემოებებიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების 78 შემთხვევიდან, მხოლოდ 1 (1%) ჩატარდა სასამართლოს წინასწარი ნებართვით, ხოლო 77 (99%) – გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, რომლის კანონიერად ცნობაც მოხდა სასამართლოს მიერ. წინა საანგარიშო პერიოდში გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული და სასამართლოს მიერ დაკანონებული ჩხრეკისა და ამოღების 95%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერად ცნობასთან დაკავშირებით გამოვლენილ სიტუაციას მონიტორინგის იმ პერიოდების განმავლობაში, რა პერიოდებშიც საია აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების სიხშირეს აკვირდებოდა.

დიაგრამა №7



ვინაიდან ჩხრეკა და ამოღება არის ინდივიდის პირადი ცხოვრების შემზღვეველი ღონისძიება, სამართალდამცავმა ორგანოებმა ამ ღონისძიების ჩატარებამდე შესაბამისი ზომები უნდა მიიღონ. მართალია, შეუძლებელი იყო პროკურორის შუამდგომლობების შინაარსობრივი მხარისა და ინდივიდუალური შემთხვევების შესწავლა, თუმცა, ის ფაქტი, რომ ბრალდების ორგანოებმა მხოლოდ 1 (1%) შემთხვევაში მიმართეს სასამართლოს წინასწარი ნებართვის მისაღებად, აჩენს კითხვის ნიშნებს ინდივიდის პირადი ცხოვრების უფლების მიმართ უპატივცემლო დამოკიდებულებასა და საპროცესო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით.

ასევე, შეუძლებელი იყო იმის გარკვევა, იყო თუ არა გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების შემდგომი დაკანონება სასამართლოს მხრიდან დასაბუთებული, ვინაიდან ისინი, ძირითადად, არ განიხილება ზეპირი მოსმენით. თუმცა, ის ფაქტი, რომ საგამოძიებო მოქმედებების 99% საგამონაკლისო წესით ჩატარდა და მხოლოდ ჩატარების შემდეგ დაკანონდა, წარმოშობს ეჭვებს, რომ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლოები არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც, მათ არ უნდა ჩაატარონ ან კანონიერად ცნონ საგამოძიებო მოქმედება, რომელიც არ არის სათანადოდ არგუმენტირებული და ტარდება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე.

ამდენად, არსებობს ეჭვები, რომ პროკურატურის მხრიდან საგამონაკლისო წესის ხშირი გამოყენებითა და, შემდგომში, სასამართლოს მიერ ყველა ასეთი შემთხვევის კანონიერად ცნობით, ბოროტად და არაკეთილსინდისიერად ხდება საკანონმდებლო შესაძლებლობების გამოყენება. არსებობს რეალური საფრთხე, რომ კანონმდებლობით მკაცრად განწერილი საგამონაკლისო წესი პრაქტიკაში ხშირი გამოყენების ნორმა გახდეს, რაც ცალსახად არ შეესაბამება კანონმდებლის ნებას.

VI. დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება

1. შესავალი

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაკავების ორ წესს იცნობს: პირის დაკავებას მოსამართლის წინასწარი ნებართვით ან, სათანადო საფუძვლების არსებობის შემთხვევაში – გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით.

პირის დაკავების თაობაზე წინასწარი ნებართვის მისაღებად პროკურორი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე გამოსცემს შესაბამის განჩინებას. აღნიშნული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.⁴⁹ ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პირის დაკავების კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა, პირის დაკავება ხდება მოსამართლის ნებართვის გარეშე და პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლომ უნდა შეამოწმოს როგორც დაკავების კანონიერება, ისე გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული დაკავების საფუძვლიანობა.⁵⁰

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაკავების კანონიერების გასაჩივრების რაიმე სპეციალურ მექანიზმს, ამიტომ პირველი წარდგენის სხდომის ერთ-ერთ დანიშნულებას წარმოადგენს დაკავების კანონიერების შემოწმება სასამართლოების მიერ. აღნიშნული ვალდებულება მოსამართლეს გააჩნია იმის მიუხედავად, მხარე სადავოდ ხდის თუ არა ამ საკითხს. მნიშვნელოვანია, რომ პირველი წარდგენის სხდომაზე შემომდგეს როგორც მოსამართლის წინასწარი ნებართვით, ისე გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით განხორციელებული დაკავება. ეს სამართლებრივი მექანიზმი ემსახურება სამართალდამცავი უწყებების მხრიდან თვითნებური გადაწყვეტილების მიღების რისკების მინიმუმამდე შემცირებას.⁵¹ სასამართლო კონტროლი დაკავებისას არის ის მექანიზმი, რომელიც დაიცავს ნებისმიერ პირს ბრალდების მხარის მიერ კანონის უხეში დარღვევის შემთხვევაში. განსაკუთრებით მაღალი რისკის შემცველია, როდესაც

⁴⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁵⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 171-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

⁵¹ ნიპარიშვილი ზ. პატიმრობა, როგორც გირაოს გამოყენების უზრუნველყოფის საშუალება, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2016, №2, 53.

პირის დაკავება ხდება მოსამართლის წინასწარი ნებართვით, ვინაიდან დაცვის მხარეს არ ეძლევა შესაძლებლობა, დღის წესრიგში დააყენოს მოსამართლის მიერ გაცემული განჩინებისა და დაკავების კანონიერება და დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით. თუ დავუშვებთ, რომ მოსამართლემ დაკავების განჩინება არასწორად გასცა, ხოლო პირველი წარდგენის სხდომაზე არ მოხდება მისი განხილვა, შესაძლოა, ასეთი დაკავების გამო, პირის მიმართ უფრო შემზღვეველი ღონისძიებები იყოს გამოყენებული.⁵²

საიამ, პირველი წარდგენის სხდომებზე დაკვირვების შედეგად, გამოავლინა დაკავებული პირების უფლებების დაცვის კუთხით არსებული საკანონმდებლო ხარვეზები. კერძოდ, დაკავების კანონიერების განხილვისას, მოსამართლის როლსა და შესაძლებლობებზე კანონი ნათლად არ უთითებს.

2. სასამართლო სხდომების ანალიზი

კვლავ პრობლემად რჩება დაკავების კანონიერებაზე სასამართლოს მხრიდან ჯეროვანი კონტროლის განხორციელება, ვინაიდან ხშირად სასამართლოები დაკავების ფაქტობრივ გარემოებებს არ იხილავენ.

სასამართლო მონიტორინგმა აჩვენა, რომ უმრავლეს შემთხვევაში სასამართლოები თავს არიდებენ დაკავების კანონიერების განხილვასა და შეფასებას და, ძირითადად, ალკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტით შემოიფარგლებიან.

სასამართლოების ასეთი მიდგომა სამართალდამცავების მხრიდან აშკარა თვითნებობის რისკს წარმოშობს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პირის დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში, ვიდრე ბრალდებული პირველად წარედგინება სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობა არ გვთავაზობს პირის დაკავების კანონიერების შეფასების სხვა მექანიზმს.⁵³

მოსამართლის მხრიდან დაკავების კანონიერების შეფასება ასევე მნიშვნელოვანია დაკავებული პირის მიერ, უკანონო ან/

⁵² მაგალითად, პირის დაკავება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მის მიმართ გამოყენებული იყოს გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

⁵³ ზოხაშვილი ზ; მშენიერაძე გ; ყანდაშვილი ი; ეჭვიანილითა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016, 19.

და დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების გამო, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სათანადოდ განსახორციელებლად.⁵⁴ თუმცა, ეს უფლება დაკავების აუცილებლობასა და კანონიერებაზე რეალური სასამართლო კონტროლის განხორციელების გარეშე, პრაქტიკულად, ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ის ფაქტი, რომ სასამართლოები არ ამონმებენ დაკავების კანონიერებას, გარკვეულწილად, განპირობებულია კანონმდებლობის ნაკლოვანებით. კანონმდებლობაში არ არის მკაფიო და ცალსახა მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლის ნებართვით ან გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავების კანონიერების საკითხი შემდგომ განხილვას უნდა საჭიროებდეს.

ამ საანგარიშო პერიოდის მანძილზე, პირველი წარდგენის სხდომაზე, 290 ბრალდებულიდან 140 (48%) სასამართლოში გამოცხადდა დაკავებულის სტატუსით.⁵⁵ ვინაიდან უმრავლეს – 116 (83%) – შემთხვევაში სასამართლომ არ განიხილა დაკავების კანონიერება და მხარეებსაც არ უხსენებიათ აღნიშნული საკითხი, ჩვენთვის უცნობი იყო, რა წესის გამოყენებით მოხდა პირის დაკავება – მოსამართლის წინასწარი ნებართვით თუ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით.

სასამართლო პროცესებზე გამოკვეთილი გარემოებებიდან და მხარეთა განმარტებებიდან გამომდინარე გაირკვა, რომ დანარჩენ 24 (17%) შემთხვევაში დაკავება მოხდა მოსამართლის წინასწარი ნებართვით ან გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით. კერძოდ, 4 (17%) შემთხვევაში არსებობდა მოსამართლის განჩინება პირის დაკავების თაობაზე, თუმცა, არცერთ შემთხვევაში პირველი წარდგენის სხდომაზე დაკავების კანონიერების განხილვა და შეფასება არ მომხდარა. დანარჩენ 20 (83%) შემთხვევაში პირი დააკავეს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველით. თუმცა, ამ წესის გამოყენებით პირის დაკავების კანონიერების განხილვის თაობაზე მოსამართლეთა მხრიდან არაერთგვაროვანი მიდგომები დაფიქსირდა. სასამართლო პროცესებიდან გაირკვა, რომ 4 შემთხვევაში ასეთი წესით ჩატარებული დაკავების კანონიერება მოსამართლეს უკვე შემონმებული და დაკანონებული ჰქონდა პირველი წარდგენის სხდომის გამართვამდე, რაც არ არის სწორი

⁵⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 176-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

⁵⁵ 288 ბრალდებულიდან 7 ბრალდებული არ ესწრებოდა სხდომას, თავს არიდებდა სასამართლოში გამოცხადებას.

და ეფექტური პრაქტიკა.⁵⁶ ასეთი მიდგომებით დაცვის მხარეს არ აქვს შესაძლებლობა, რომ დაკავების შინაარსსა და პროცედურასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები დააფიქსიროს. მოსამართლეების მხრიდან ამგვარი არაერთგვაროვანი და არასწორი მიდგომები, სავარაუდოდ, მოუწესრიგებელმა და ბუნდოვანმა კანონმდებლობამ გამოიწვია. დანარჩენი 16 გადაუდებელი აუცილებლობით დაკავებული ბრალდებულიდან, 11 შემთხვევაში, მოსამართლეს დაკავების საკითხზე არ უმსჯელია და არ შეუფასებია დაკავების მართლზომიერება.

ზემოხსენებული უარყოფითი პრაქტიკის პარალელურად, გამოვლინდა მწირი, მაგრამ დადებითი პრაქტიკაც. კერძოდ, გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული დაკავების 20 შემთხვევიდან, 5 შემთხვევაში მოსამართლეებმა შეაფასეს დაკავების ფაქტობრივი გარემოებები. აქედან 3 შემთხვევაში მოსამართლემ დაკავება კანონიერად მიიჩნია, ხოლო 2 შემთხვევაში – უკანონოდ ცნო იმ მოტივით, რომ ბრალდებულს დაკავების ოქმი არ გადაეცა და არ არსებობდა დაკავების გადაუდებელი აუცილებლობა. აღნიშნული შემთხვევები მონიშნავს, რომ, მიუხედავად მოუწესრიგებელი კანონმდებლობისა, მოსამართლეებს მაინც აქვთ შესაძლებლობა, იმოქმედონ ბრალდებულის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და, სურვილის შემთხვევაში, დაკავების შეფასებას სათანადო ყურადღება დაუთმონ. იმავდროულად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, თავისუფლების შეზღუდვის ნებისმიერი პერიოდი, რაც არ უნდა ხანმოკლე იყოს იგი, დამაჯერებლად უნდა დასაბუთდეს ხელისუფლების მიერ.⁵⁷

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითები:

ეს მაგალითები აღწერს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ჩატარებული დაკავების კანონიერების განხილვისა და სასამართლო კონტროლის განხორციელების დადებით შემთხვევებს.

⁵⁶ სავარაუდოდ, მოცემულ შემთხვევებში, დაკავებასთან ერთად ჩატარდა ჩხრეკის ან ამოღების საგამოძიებო მოქმედებები და ეს იყო მიზეზი იმისა, რომ გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული დაკავების კანონიერების განხილვა მოხდა პირველი წარდგენის სხდომამდე, ჩხრეკასა და ამოღებასთან ერთად.

⁵⁷ *Dubinskiy v. Russia*, no. 48929/08, July 3, 2014, §59.

➤ სასამართლო პროცესზე დაცვის მხარემ განაცხადა, რომ დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნები, რადგან ბრალდებულს დაკავების ოქმი არ გადაეცა. შესაბამისად, ადვოკატის განმარტებით, თუ პირს არ გადაეცემა დაკავების ოქმი და დაკავებულის მხრიდან ოქმის გადაცემაზე უარის თქმის შენიშვნაც არ დაფიქსირდება, მაშინ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს.

მოსამართლემ გაიზიარა დაცვის მხარის არგუმენტები და პირის დაკავება უკანონოდ მიიჩნია იმ საფუძველით, რომ ბრალდებულს დაკავების ოქმი არ გადასცეს.

➤ დაკავების კანონიერებაზე მოსამართლემ კიდევ ერთ საქმეში იმსჯელა, რომელიც ეხებოდა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას მიმართ განხორციელებულ ძალადობას. სასამართლო პროცესიდან ცნობილი გახდა, რომ რატი გაჩეჩილაძე⁵⁸ მას შემდეგ დააკავეს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, როდესაც თავად გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში და აღიარა დანაშაულის ჩადენა.

ბრალდების მხარის განმარტებით, პირის დაკავება მოხდა იმ მოტივით, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენის შემდეგ მიიმალა, მაგრამ შემდგომ თვითმხილველმა ამოიცნო.⁵⁹ აღნიშნული კი, გადაუდებელი აუცილებლობით პირის დაკავების საფუძველს წარმოადგენს.

სასამართლომ შეაფასა გაჩეჩილაძის დაკავების მართლზომიერება და დაკავება მიიჩნია უკანონოდ, ვინაიდან პიროვნება თავისი ნებით გამოცხადდა საგამოძიებო ორგანოში ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ იყო დაწყებული და გამოთქვა მზაობა, ხელი შეეწყო გამოძიების წარმართვისათვის. შესაბამისად, მოსამართლის დასაბუთებით, მიმალვის საფრთხე არ არსებობდა და სამართალდამცველებს გაჩეჩილაძის გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით დაკავების საფუძველი არ ჰქონდათ.

⁵⁸ სასამართლომ ამ საქმეზე გამამატყუნებელი განაჩენი გამოიტანა.

⁵⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ პუნქტი.

ამდენად, ხშირი უარყოფითი პრაქტიკა და მცირე დადებითი შემთხვევები მიანიშნებს, რომ სახელმწიფო არ არის ეფექტური დაკავებული პირების უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რაც გამართული კანონმდებლობის არარსებობაში გამოიხატება.

VII. საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული სამართალწარმოება

1. შესავალი

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, სასამართლოს მიერ ჯეროვანი კონტროლის განხორციელების ხარისხი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს მცირედით გაუმჯობესებულია, რაც გამოიხატება კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების სრულყოფილად განმარტებასა და საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის პრეცედენტებში. თუმცა, მაინც რჩება მთელი რიგი პრობლემები და ხარვეზები, რაც წარდგენილი სასჯელის კანონიერებისა და სამართლიანობის შესახებ მსჯელობის ნაკლებობაში ვლინდება. უმეტესად, სასამართლო შემოიფარგლება საპროცესო შეთანხმების ელემენტების „მშრალი“ მიმოხილვით და არ უღრმავდება წარდგენილი პირობების გამოკვლევას, მაგალითად, სასჯელის შეფასებას.

საპროცესო შეთანხმება სამართალწარმოების დაჩქარებული სახეა, რომლის თანახმად, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებას ან ნაწილობრივ მოხსნაზე.

2014 წლის 24 ივლისს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაუქმდა საპროცესო შეთანხმება სასჯელზე, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელი გახდა საპროცესო შეთანხმების დადება ბრალის აღიარების გარეშე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის თანახმად, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი, ამასთან, ბრალდებულისგან კანონით გათვალისწინებულ გარემოებებთან დაკავშირებით დამარწმუნებელ პასუხებს მიიღებს და, თუკი პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი, მას გამოაქვს გად-

ანყვეტილება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასჯელის სამართლიანობა, მოსამართლემ უნდა განიხილოს არსებული გარემოებები, ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები, დანაშაულის ჩადენის გარემოებები და შეთანხმებული სასჯელი. კანონი არ აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს სასჯელის სამართლიანობის უზრუნველყოფა, თუმცა, სასჯელის შეფარდების ზოგადი პრინციპების მიხედვით, შესაძლებელია აღნიშნული კრიტერიუმის დასაბუთება. მაგალითად, ჯარიმის შეფარდებისას მოსამართლეს შეუძლია გამოარკვიოს: როგორია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა; შეუძლია თუ არა მას ჯარიმის გადახდა; არის თუ არა ჯარიმის თანხა მიყენებული ზიანის შესაბამისი; გარემოებები, რომლებშიც დანაშაულის ჩადენა მოხდა და მოსალოდნელი სასჯელის ზომა. გარდა ამისა, მოსამართლეს შეუძლია, მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, ცვლილებები შეიტანოს საპროცესო შეთანხმებაში. კერძოდ, კანონის თანახმად, თუკი მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებები არ არსებობს, ან დაადგენს, რომ საპროცესო შეთანხმება არ აკმაყოფილებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს, მას შეუძლია, მხარეებს შესთავაზოს, სხდომის მიმდინარეობისას შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები, რაც შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან. იმ შემთხვევაში, თუკი სასამართლოს საპროცესო შეთანხმების შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი უარს ამბობს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე და საქმეს უბრუნებს პროკურორს.

საიამ მონიტორინგის განმავლობაში გამოავლინა პრაქტიკული გამოწვევები საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, უფლებების განმარტების კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესებულია, კვლავ რჩება მთელი რიგი ხარვეზები, კერძოდ, სასამართლოები არ ინტერესდებიან სასჯელის სამართლიანობისა და კანონიერების შემონახვით. აგრეთვე, კიდევ უფრო გაზრდილია საპროცესო შეთანხმების დროს ჯარიმების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი. გარდა ამისა, დაზარალებულის ინტერესები საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს, ძირითადად, უგულვებელყოფილია. ამასთან, რიგ შემთხვევებში, ადვოკატები არ იჩენენ სათანადო ძალისხმევას ბრალდებულთა საუკეთესო ინტერესების დასაცავად.

2. სასამართლო სხდომების ანალიზი

2.1. კანონით გათვალისწინებული უფლებების განმარტება

საპროცესო შეთანხმების დამტკიცებამდე მოსამართლე ვალდებულია, ბრალდებულს განუმარტოს კანონით გათვალისწინებული უფლებები. უფლებების განმარტებისა და მოსამართლის შეკითხვებზე დამაჯერებელი პასუხების მიღების აუცილებლობაზე მეტყველებს ისიც, რომ მოსამართლეს შეუძლია, უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე, თუ კანონით გათვალისწინებულ გარემოებებზე ბრალდებულისგან დამარწმუნებელ პასუხებს ვერ მიიღებს.

მონიტორინგის შედეგები

წინა საანგარიშო პერიოდისაგან განსხვავებით, მოსამართლეების მხრიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების სრულყოფილად განმარტების კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესებულია. კერძოდ, 35 (16%) შემთხვევაში მოსამართლეს არ განუმარტავს ბრალდებულებისათვის, რომ, თუ სასამართლო არ დაამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას, დაუშვებელია, მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებული იყოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას მიაწოდებს. წინა საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი 18%-ს შეადგენდა. აგრეთვე, მოსამართლემ ბრალდებულს მხოლოდ 11 (5%) შემთხვევაში არ განუმარტა, რომ მის მიერ საჩივრის შეტანა ნამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე ხელს არ შეუშლიდა კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. წინა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი 16%-ს შეადგენდა.

მიუხედავად უფლებების განმარტების კუთხით სიტუაციის გაუმჯობესებისა, ეს მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი, რადგან კვლავ რჩება ცალკეული უფლებების არასრულად განმარტების შემთხვევები. აგრეთვე, ერთ შემთხვევაში მოსამართლემ ბრალდებულს არ განუმარტა სსსკ-ის 212-ე მუხლით გათვალისწინებული არცერთი უფლება და 10 წუთში დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება. მოსამართლეთა მხრიდან აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტები ტოვებს შთაბე-

ჭდილებას, რომ მოსამართლეები ფორმალურად ეკიდებიან საპროცესო შეთანხმების დამტკიცების საკითხს და არ ახორციელებენ ჯეროვან კონტროლს სამართალწარმოებაზე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, სადაც გაჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის მიმართ, რომელსაც არ შეეძლო მოსამართლის შეკითხვებზე დამაჯერებელი და სრულყოფილი პასუხები გაეცა, მაინც აპირებდნენ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითი

საპროცესო შეთანხმების განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე, როდესაც მოსამართლე კითხვებს სვამდა, ბრალდებული სათანადო პასუხებს ვერ სცემდა და მისი ახლობელი კარნახობდა. მაგალითად, ბრალდებულმა ვერ დაასახელა დაბადების წელი, თვე, რიცხვი და საცხოვრებელი ადგილის მისამართი. აღნიშნულის მიუხედავად, მოსამართლეს შესაბამისი რეაგირება არ ჰქონია.

პროკურორმა წარმოადგინა შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე, რის შემდეგაც, მოსამართლემ 10 წუთიანი შესვენება გამოაცხადა. მოსამართლეს შესვენების მიზეზი არ განუმარტავს, სხდომაზე დამსწრე პირებს სთხოვა, დარბაზი დაეტოვებინათ და დარჩენის შესაძლებლობა მხოლოდ პროკურორსა და ადვოკატს მისცა.

არსებობდა იმის მაღალი ალბათობა, რომ სხდომის გაგრძელების შემთხვევაში ბრალდებული ვერც სსკ-ის 212-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებზე გასცემდა დამაჯერებელ და ადეკვატურ პასუხებს, რაც, შესაძლოა, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დამაბრკოლებელი გარემოება გამხდარიყო. სავარაუდოდ, მოსამართლე და მხარეები ინფორმირებულნი იყვნენ ამ გარემოებების შესახებ, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც ცდილობდნენ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. სწორედ ამ მიზნით მოხდა შესვენების გამოცხადება და სხდომის დარბაზიდან დამსწრე პირების დათხოვნა. აგრეთვე, ადვოკატისა და ბრალდებულის ახლობლების დამოკიდებულებიდან ჩანდა, რომ მათ არ სურდათ პროცესზე საიას მონიტორის დას-

წრება. შესვენება 10 წუთზე მეტ ხანს გაგრძელდა. საიას მონიტორი დაახლოებით 40 წუთის განმავლობაში იდგა სხდომის დარბაზთან, თუმცა, პროცესი არ განახლებულა.

2.2. სასამართლოს მიდგომები სასჯელის სამართლიანობისა და კანონიერების შემოწმებასთან დაკავშირებით

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება. მოსამართლის ეს უფლება მნიშვნელოვანი ბერკეტი იმისათვის, რომ გააკონტროლოს საპროცესო შეთანხმების პირობების სამართლიანობა/კანონიერება და, ამ ინსტიტუტის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, არ დაამტკიცოს შეთანხმება.

მართალია, კანონმდებლობა მოსამართლეს არ უტოვებს უფლებას, სასჯელი ავტონომიურად შეამციროს ან შეცვალოს, მაგრამ ეს არ ამართლებს მოსამართლის მხრიდან პროკურატურის მიერ შეთავაზებულ გადამეტებულად მსუბუქ ან მძიმე სასჯელზე დათანხმებას იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარემ შუამდგომლობა ამგვარი პირობებით წარადგინა. სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სასჯელის შეფარდება. აქედან გამომდინარე, მოსამართლე ყურადღებით უნდა დააკვირდეს სასჯელის განსაზღვრის პროცესს და არ დაუშვას ბრალდებულისთვის შეუსაბამო სანქციის დაკისრება.⁶⁰

მონიტორინგის შედეგები

კანონით მინიჭებული ასეთი მნიშვნელოვანი უფლების მიუხედავად, ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მოსამართლეები, უმეტესად, არ დაინტერესებულან, რამდენად სამართლიანი და კანონიერი იყო მხარეების მიერ განსაზღვრული სასჯელი. უფრო მეტიც, პროკურორის მიერ წარდგენილი 210 შუამდგომლობიდან,

⁶⁰ სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015, 63.

მოსამართლემ 208 (99%) საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა⁶¹ და აქედან მხოლოდ 6 (3%) შემთხვევაში აღნიშნა, რომ სამართლიანად მიაჩნდა ის სასჯელი, რომელიც ბრალდებულს შეეფარდა და ეს მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება იყო. 1 (0.5%) შემთხვევაში მოსამართლემ სასჯელის კანონიერება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა და პროკურორს პირობები შეაცვლივინა.

ზოგჯერ მოსამართლეებს ჰქონდათ მცდელობა, რომ საპროცესო შეთანხმების განხილვის პროცესში მათი ჩარევა ყოფილიყო სათანადო და ნაყოფიერი, თუმცა, ეს მცდელობა სრულყოფილად არ მოიცავდა მოსამართლის ყველა შესაძლებლობის ეფექტურად გამოყენებას. კერძოდ, ერთ-ერთი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე მსჯელობისას ბრალდებულმა მოსამართლეს მიმართა და სთხოვა, შეემცირებინა სასჯელის სახით განსაზღვრული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის საათები. მოსამართლემ განუმარტა, რომ თუ აღნიშნულ პირობებს არ ეთანხმებოდა, მას შეეძლო, არ დაემტკიცებინა საპროცესო შეთანხმება. დამატებით ისიც აუხსნა, რომ მას არ ჰქონდა უფლება, სასჯელის ნაწილში რაიმე ცვლილება შეეტანა. ბრალდებული ყოყმანობდა, თუმცა, საბოლოოდ, დათანხმდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას შემოთავაზებული პირობებით. როგორც სასამართლო პროცესიდან გაირკვა, ბრალდებული შეილებთან ერთად ცხოვრობდა და ოჯახის ერთადერთი მარჩენალი იყო. სავარაუდოდ, სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ საპროცესო შეთანხმებით შეთავაზებული პირობები არ აკმაყოფილებდა.

მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლემ რამდენჯერმე აუხსნა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის გარემოებები და გამოარკვია ბრალდებულის ნამდვილი ნება, მოსამართლის ასეთი ჩარევა არ იყო ეფექტური და სრულყოფილი. კანონმდებლობის მიხედვით, მოსამართლეს აქვს უფლება, ბრალდების მხარეს შესთავაზოს საპროცესო შეთანხმების პირობების შეცვლა, თუმცა, მას ამ შესაძლებლობით არ უსარგებლია.

პრაქტიკაში კვლავ პრობლემად რჩება, ქმედების მცირე მნიშვნელობის მიუხედავად, გამამტყუნებელი განაჩენების დად-

⁶¹ ერთ შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმების განხილვის პროცესში შესვენება გამოცხადდა, რომელიც შემდეგ აღარ გაგრძელდებულა. ამ სხდომის შესახებ ქვემოთ უფრო დეტალურად არის საუბარი.

გენა და ზიანთან შედარებით არაპროპორციული სასჯელების გამოყენება. სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ, მცირე მნიშვნელობის გამო, არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. აღნიშნულ რეგულაციას საფუძვლად უდევს ქმედების სოციალური ადეკვატურობის არარსებობა, რადგან ქმედება ფორმალურად კი შეესაბამება დანაშაულის შემადგენლობას, თუმცა, არ გააჩნია საზოგადოებრივი საშიშროების ის ხარისხი, რომელიც პირის დასჯის ინტერესებს გაამართლებდა.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითი:

ბრალდებულებს პროკურატურა ედავებოდა თევზჭერის უკანონოდ განხორციელებას, რაც ნაკლებად მძიმე დანაშაულს წარმოადგენს. როგორც სასამართლო პროცესიდან გაირკვა, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობა შეადგენდა 1.32 ლარს. ბრალდებულთა მხრიდან წარსულში ჩადენილი რაიმე სახის კანონდარღვევები სხდომაზე არ გამოვლენილა. საბოლოოდ, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შედეგად, მსჯავრდებულებს სასჯელის სახით განესაზღვრათ ჯარიმის გადახდა 1000 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნებოდა, მოსამართლეს არ დაემტკიცებინა საპროცესო შეთანხმება და გამოეყენებინა სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი დადგენილი რეგულაცია. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეთა მხრიდან სათანადოდ შეფასდეს მიყენებული ზიანის მოცულობა, სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მისი განხორციელების სტადია, ბრალდებულის პიროვნება და, ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და ყველა ამ გარემოების მხედველობაში მიღებით, ეფექტურად გამოიყენონ საკანონმდებლო ნორმა, რომელიც პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას ითვალისწინებს.

სასამართლოს გარდა, ბრალდების მხარესაც აქვს შესაძლებლობა, არ დაიწყოს ან/და შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოიყენოს ალტერნატიული მექანიზმები, მაგალითად –

განრიდება.⁶² კანონიერების პრინციპი თავის თავში გულისხმობს, რომ ყველა ქმედება, რომელსაც სახელმწიფო დანაშაულად აცხადებს, გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კოდექსით, ხოლო როცა კოდექსი საგანგებოდ მიუთითებს, რა არის დანაშაული და რა – არა, ბრალდების მხარემ აღნიშნულ დათქმას უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება და სწორად შეაფასოს ის ზიანი თუ ზიანის მიყენების საფრთხე, რომელიც დადგებოდა აღნიშნული ქმედების განხორციელების შედეგად.⁶³

თუმცა, ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, დაფიქსირდა რამდენიმე დადებითი ფაქტი, როდესაც მოსამართლემ პროკურორს მიუთითა ტექნიკურ ხარვეზზე და ბრალდების მხარეს სასჯელის გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები გამოასწორობინა. გარდა ამისა, დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება. იმავდროულად, ამ შემთხვევაში მიღებული იყო გადაწყვეტილება ბრალდებულის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითი:

პირს ბრალი ედებათა სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.⁶⁴ პირველი წარდგენის სხდომაზე პროკურორმა სასამართლოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე და სასჯელის სახედ მოითხოვა ჯარიმის სახით 2000 ლარის გადახდა. მოსამართლემ პროკურორს მიმართა და აუხსნა, რომ მოცემული პირობებით ვერ დაამტკიცებდა საპროცესო შეთანხმებას, ვინაიდან სსკ-ის 260-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით სასჯელი არ იყო განსაზღვრული. ამდენად, სხვა, თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა იქნებოდა გაუმართლებელი და ამით გაუარესდებოდა ბრალდებულის სამართლებრივი მდგომარეობა. მოსამართლემ ბრალდების მხარეს საპროცესო შეთანხმების პირობების დაზუსტება შესთავაზა.

⁶² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 168¹ მუხლი.

⁶³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 დეკემბრის განაჩენი.

⁶⁴ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა.


პროკურორმა შესვენების გამოცხადება ითხოვა, რის შემდეგაც განაცხადა, რომ საპროცესო შეთანხმების პირობებს არ ცვლიდნენ. შესაბამისად, მოსამართლემ უარი თქვა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე.

2.3. საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული სასჯელები

სასამართლო მონიტორინგმა აჩვენა, რომ საპროცესო შეთანხმებების შედეგად ხშირია პირობითი მსჯავრის შეფარდების შემთხვევები, რომლებიც დამოუკიდებლად ან სხვადასხვა სახის სასჯელებთან ერთად გამოიყენება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე შეფარდებული სასჯელების პროცენტულ მონაცემებს.

დიაგრამა №8




ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კიდევ უფრო გაიზარდა იმ ბრალდებულთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც საპროცესო შეთანხმების შედეგად ჯარიმა დაეკისრა. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის დასაწყისიდან მოყოლებული (2013 წლის ოქტომბრიდან), ყველა საანგარიშო პერიოდში მცირდებოდა

ჯარიმების შეფარდების პროცენტული მონაცემები, თუმცა, 2016 წლის თებერვლიდან ეს ტენდენცია შეიცვალა და ფულადი თანხების დაკისრების პროცენტული მაჩვენებელი 5%-ით გაიზარდა. საპროცესო შეთანხმების დროს ჯარიმების დაკისრების სიმრავლე, ბადაებს ეჭვებს, რომ ეს შესაძლოა იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთი წყარო. ჯარიმების გადახდა ეფუძნება პირის გადახდისუნარიანობას, რამაც შესაძლოა მიგვიყვანოს იმ განცდამდე, რომ შესაძლებელია თავისუფლების ყიდვა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ჯარიმების გამოყენების სიხშირეს მონიტორინგის იმ პერიოდების განმავლობაში, რომელსაც საია ამ საკითხებს აკვირდებოდა (2012 წლის ივლისიდან 2017 წლის თებერვლის ჩათვლით).


დიაგრამა №9



რაც შეეხება საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმების მთლიან ოდენობას, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ეს მაჩვენებელიც გაიზარდა. კერძოდ, 104 ბრალდებულის მიმართ საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ჯარიმების დაკისრებით, რამაც ჯამში 341.491 ლარი შეადგინა. წინა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული თანხა 211.000 ლარით განისაზღვრა. თუმცა, ამის მიუხედავად, თითქმის იგივეა საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმების საშუალო ოდენობა და 3.283 ლარს შეადგენს. წინა საანგარიშო პერიოდში კი, ეს მაჩვენებელი 3.767 ლარით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საპროცესო შეთანხმებებით დაკისრებული ჯარიმების საშუალო ოდენობას 2012 წლის ივლისიდან 2017 წლის თებერვლის ჩათვლით.


დიაგრამა №10



მიმდინარე მონიტორინგის პერიოდში ჯარიმების ოდენობა 500-დან 25 000 ლარამდე მერყეობდა.

თითქმის უცვლელი დარჩა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი. თუ წინა საანგარიშო პერიოდში ამ სახის სასჯელების გამოყენება შემთხვევათა 15%-ში მოხდა, ამ საანგარიშო პერიოდში 16% შეადგინა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს, საპროცესო შეთანხმებებით, ბრალდებულთა მიმართ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების სიხშირეს იმ პერიოდების განმავლობაში, როდესაც საია აღნიშნულ საკითხებს აკვირდებოდა (2012 წლის ივლისიდან 2017 წლის თებერვლის ჩათვლით).



სასჯელები ნარკოტიკული დანაშაულებისთვის

ნარკოტიკული დანაშაულისათვის ბრალდებული პირების ნახევარზე მეტს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა ჯარიმის გადახდის პირობით.

62 ბრალდებულიდან, რომლებსაც საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისათვის, 40 (65%) ბრალდებულს სასჯელის სახით დაუნესდა ჯარიმის გადახდა. 19 (32%) ბრალდებულის მიმართ სასჯელის სხვა სახეები იყო გამოყენებული, ხოლო 2 (3%) ბრალდებულის მიმართ საპროცესო შეთანხმება გაფორმდა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის დაკისრების გარეშე.

მიუხედავად ზემოხსენებული უარყოფითი ტენდენციისა, რაც გამოიხატა სასჯელების სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმების დაკისრებაში, დაფიქსირდა ორი დადებითი შემთხვევა, როდესაც მსჯავრდებულებს სასჯელი არ დაეკისრათ, რაც მათი ინტერესების სასარგებლოდ განხორციელებულ მიდგომებზე მეტყველებს. ბრალდებულის სასჯელის გარეშე დატოვების მიზეზი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად შეაფასა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე მარიხუანის შეძენა-შენახ-

ვისათვის სანქციის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება. მოსამართლეთა ნაწილმა საკონსტიტუციო სასამართლოს გად-
ანყვეტილება უფრო ფართოდ და ადამიანის უფლებათა დაცვის
გადმოსახედიდან განმარტა. შესაბამისად, სასამართლოს გად-
ანყვეტილებით, ვინაიდან სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილი
სხვა სასჯელებს არ ითვალისწინებს, თავისუფლების აღკვეთაზე
უფრო მსუბუქი სახის სასჯელების დანიშვნაც გაუმართლებელი
იქნებოდა. ამასთან, სასამართლო დამნაშავეს სასჯელს უნიშ-
ნავს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით
დადგენილი სანქციის ფარგლებში.⁶⁵ ვინაიდან სსკ-ის 260-ე მუხ-
ლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული დარჩენილია
სასჯელის გარეშე, ამიტომ მოსამართლეს სანქციის დასანიშნად
საჭირო პირობები აღარ აქვს.

საინტერესოა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის
პირველ ნაწილთან დაკავშირებულ ბრალდებაზე სასამართლომ
სასჯელის დაუნიშნავად გამამტყუნებელი განაჩენები გამოიტანა
არსებითად დასრულებულ 2 საქმეზეც.

მართალია, ეს შემთხვევები ბრალდებულის საუკეთესო ინტერ-
ესებზეა მორგებული, თუმცა, ამგვარი გადაწყვეტილებები მაინც
წარმოადგენს კანონმდებლობის გვერდის ავლას და საჭიროა,
რომ პარლამენტმა სათანადოდ მოანერგოს ეს საკითხი. კერ-
ძოდ, სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშ-
ნავად ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაჩენის გამოტა-
ნის მომენტისთვის ბრალდებული გარდაიცვალა.⁶⁶ აგრეთვე, თუ
დანაშაულისათვის არ არსებობს სასჯელი, ასეთი ქმედების დანა-
შაულად მიჩნევა ყოველგვარ სამართლებრივ ლოგიკას არის მოკ-
ლებული. იურისტების ნაწილის განმარტებით, საკონსტიტუციო
სასამართლომ სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის მხოლოდ
ის ნორმატიული შინაარსი გააუქმა, რომლითაც შესაძლებელი
იყო ნარკოტიკული საშუალების – „გამომშრალი მარიხუანის“
უკანონო შექმნა-შენახვისთვის სასჯელის სახედ თავისუფლებ-
ის აღკვეთის გამოყენება. შესაბამისად, სამართლებრივად ყვე-
ლაზე სწორ გზად მიაჩნიათ სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწი-
ლით გათვალისწინებულ დანაშაულზე თავისუფლების აღკვეთის
გარდა სხვა სასჯელის დანიშვნა, თუნდაც, ეს იყოს ჯარიმა მინი-

⁶⁵ სისხლის სამართლის კოდექსი, 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁶⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 269-ე მუხლის მ-3 ნაწილის „გ“
ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-6 ნაწილი.

მალური ოდენობით.⁶⁷

ამდენად, ასეთი სამართლებრივი ნონსენსის გამოსასწორებლად, კანონის დარღვევის თავიდან ასარიდებლად და ბრალდებულის საუკეთესო ინტერესებისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებების მისაღებად, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს პარლამენტმა მოახსენიოს კანონში არსებული ასეთი ხარვეზები.

2.4. დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინება სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით

კანონმდებლობის მიხედვით, პროკურორი ვალდებულია, საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადების ფაქტი. აღნიშნულის თაობაზე პროკურორი ადგენს ოქმს.⁶⁸ დაზარალებულს არ აქვს შესაძლებლობა, რაიმე ზემოქმედება მოახდინოს საპროცესო შეთანხმების პროცედურაზე ან გაასაჩივროს მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება, თუმცა, შეუძლია, სასამართლოს წერილობით ან ზეპირად მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას მიადგა დანაშაულის შედეგად.⁶⁹ მართალია, დაზარალებულის უარი არ არის დამაბრკოლებელი გარემოება საპროცესო შეთანხმების გაფორმებისათვის, მაგრამ პროკურორმა გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურად უნდა ითანამშრომლოს დაზარალებულთან და გაითვალისწინოს მისი პოზიცია.

მონიტორინგის შედეგები

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების განხილვის პროცესში დაზარალებულის ინტერესები და სამართალწარმოებაში მისი ჩართულობა ფრაგმენტულია ან საერთოდ უგულებელყოფილი. აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზებთან ერთად, პრაქტიკის ნაკლოვანებით და პროკურორთა და მოსამართლეთა

⁶⁷ საქართველოს უზენაესის სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, №392აპ-15, 24 მარტი, 2016.

⁶⁸ სისხლის სამართლის კოდექსი, 217-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁶⁹ სისხლის სამართლის კოდექსი, 217-ე მუხლის 1¹-ლი და მე-2 პუნქტები.

ნაკლები სენსიტიურობითაც არის განპირობებული. სასამართლოს მიერ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებებიდან, 95 საქმე ეხებოდა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. თუმცა, ამ საქმეებიდან 65 (68%) შემთხვევაში ისე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომ დაზარალებულის პოზიციასა ან მის ინტერესებზე პროკურორს არ უსაუბრია და, შესაბამისად, პროცესზეც არ განხილულა. 6 (6%) შემთხვევაში გაჟღერდა დაზარალებულისათვის დანაშაულის შედეგად წართმეული ნივთების დაბრუნების საკითხი. მხოლოდ 24 (25%) შემთხვევაში წარმოადგინა ბრალდების მხარემ დაზარალებულთან კონსულტაციის გავლის ოქმი ან გააჟღერა მისი პოზიცია პირის დასჯასთან დაკავშირებით.

მონიტორინგის შედეგები სატრანსპორტო დანაშაულებთან დაკავშირებულ დანაშაულებზე

საინტერესოა, რომ სასამართლოს მიერ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებებიდან 14 საქმე ეხებოდა სატრანსპორტო დანაშაულებს, რომლებსაც ადამიანების ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება ან მათი გარდაცვალება მოჰყვა. უმეტეს შემთხვევაში (10 საქმეში – 71%) ისე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომ დაზარალებულის პოზიცია, ზიანის ანაზღაურების ან მასთან კონსულტაციის გავლის საკითხები პროცესზე არ განხილულა. დაზარალებულის ჭეშმარიტ ინტერესებზე ხაზგასმა არც სამი პიროვნების გარდაცვალების საქმეში მომხდარა. რაც შეეხება გამოყენებულ სასჯელებს, ყველა შემთხვევაში დამნაშავის მიმართ არასაპატიმრო სანქციები იყო გამოყენებული პირობითი მსჯავრის ან/და ჯარიმის სახით. საგულისხმოა, რომ დანიშნულ სამართლიან სასჯელს დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადი პრევენციის გატარების კუთხით, რათა თავიდან იყოს აცილებული სხვა პირთა მხრიდან მსგავსი ხასიათის დანაშაულების ჩადენა. იმავდროულად, ავტოსაგზაო შემთხვევათა თავიდან აცილება სახელმწიფოს სწორი სამართლებრივი პოლიტიკის ნაწილია.⁷⁰ **მართალია, სასჯელის დაკისრებისა და მიღებული გადანყვეტილებების შინაარსობრივი მხარის შესწავლა ამ კვლევის ფარგლებს მიღმაა, თუმცა, ის ფაქტი, რომ ყველა**

⁷⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, №1/ზ-204-14, 28 მაისი, 2014.

შემთხვევაში ლმობიერი და ნაკლებად მკაცრი სანქციები იყო გამოყენებული, ბაღებს კითხვებს, რამდენად ეფექტურად შეასრულებს ეს მიდგომები ზოგადი პრევენციის როლს ამ ტიპის დანაშაულებთან მიმართებით.

2.5. ადვოკატის მონაწილეობა საპროცესო შეთანხმების სასამართლო განხილვის პროცესში

ბრალდებულის დაცვის უფლება ნარმოადგენს უმნიშვნელოვანეს გარანტს სისხლის სამართალწარმოების დროს. ცალკეულ შემთხვევებში, მათ შორის, საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს კანონმდებლობა იმპერატიულად მოითხოვს, რომ ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი, რადგან ზოგჯერ მას არ ძალუძს, სათანადოდ დაუპირისპირდეს ბრალდების მხარეს.⁷¹ საპროცესო შეთანხმების შეთავაზების დაწყების მომენტიდან ადვოკატის ძირითადი მოვალეობაა ბრალდებულისათვის კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის განევა. მართალია, სასამართლო პროცესებზე ადვოკატი მოკლებულია შესაძლებლობას, ამტკიცოს პირის უდანაშაულობა ან ბრალდებულისათვის შეღავათიანი პირობების გამოყენება, თუმცა, ადვოკატის მხარდაჭერა გამოიხატება იურიდიული დახმარებისა და კვალიფიციური კონსულტაციის განევაში. ადვოკატი ვალდებულია, დროულად და სრულყოფილად მოახდინოს ბრალდებულის ინფორმირება მისი უფლებების, მოსალოდნელი რისკების, სასჯელებისა და ჩასატარებელი სამართლებრივი პროცედურების შესახებ.

მონიტორინგის შედეგები

სასამართლო პროცესებზე დასწრების შედეგად, ზოგიერთ შემთხვევაში, გამოვლინდა ადვოკატების არაეთიკური, ხარვეზიანი საქმიანობა და ბრალდებულის საუკეთესო ინტერესების მიმართ არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება. აგრეთვე, ცალკეულ შემთხვევებში, გამოვლინდა ადვოკატის არაკომპეტენტური და დაუდევარი საქციელი ცალკეულ პროცედურულ საკითხებთან მიმართებით.

⁷¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 45-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითები

- საპროცესო შეთანხმების ერთ-ერთ სხდომაზე ადვოკატმა სასამართლოს განუცხადა, რომ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების პროცესში ჰქონდა კონსულტაციები და გააცნო კანონით გათვალისწინებული უფლებები. თუმცა, პროცესის დაწყებამდე გაირკვა, რომ ადვოკატმა თავის დაცვის ქვეშ მყოფი პირველად სასამართლო სხდომაზე ნახა, რადგან ადვოკატმა ბრალდებულს მიმართა: „ვერანაირად ვერ შევეძელი, პროცესამდე მენახე, ძალიან დაკავებული კვირა მქონდა.“
- საპროცესო შეთანხმების განხილვის ერთ-ერთ სხდომაზე ადვოკატი ტელეფონში იყურებოდა, რაც ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ პროცესის მიმდინარეობას არ უსმენდა. მოგვიანებით მან ფურცლისგან თვითმფრინავი გააკეთა და ხელში ატრიალებდა. თუმცა, მოსამართლეს სასამართლო დარბაზში ადვოკატის ამგვარი შეუფერებელი ქმედებები არ შეუნიშნავს.

ამდენად, ზემოხსენებული შემთხვევები მიანიშნებს საპროცესო შეთანხმების მიმართ არაჯანსაღ დამოკიდებულებასა და ყველა იმ კომპონენტის სათანადოდ გაუთვალისწინებლობაზე, რომლებიც მნიშვნელოვანია პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვადად.

VIII. წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობა

1. შესავალი

წინასასამართლო სხდომაზე სასამართლო არკვევს იმ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, რომლებიც ძირითად სხდომაზე განიხილება. ეს ეტაპი უკიდურესად მნიშვნელოვანია, რადგან მხოლოდ დასაშვებ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოაქვს მოსამართლეს განაჩენი საქმის არსებითი განხილვის შედეგად. გარდა ამისა, ამ ეტაპზევე მიიღება გადაწყვეტილება, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდეს თუ საქმის განხილვა არსებითად გაგრძელდეს.⁷² აღსანიშნავია, რომ დევნის შეწყვეტის საფუძველი არა მხოლოდ არასაკმარისი მტკიცებულებები, არამედ საპროცესო კანონის არსებითი დარღვევაც.

სასამართლოს გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის მიმართ უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი ორივე მხარის მიმართ. ბრალდებულის უფლებას მიუკერძოებელ სამართალწარმოებაზე აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო სხდომები, როგორც წესი, ეხება მტკიცებულებათა დასაშვებობას, მხარეებს ასევე შეუძლიათ, დააყენონ სხვა სახის შუამდგომლობებიც.


2. სასამართლო სხდომების ანალიზი

წინასასამართლო სხდომებზე, მტკიცებულებების დასაშვებობის ნაწილში, მოსამართლეთა არაობიექტურობა ან რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება, უმეტესად, არ დაფიქსირებულა. აგრეთვე, სასამართლოები, ძირითადად, თანაბრად აკმაყოფილებდნენ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის შუამდგომლობებს მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე.

⁷² სასამართლომ უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ ის ალბათობის მაღალი ხარისხით დაადგენს, რომ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ამ საანგარიშო პერიოდში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პროცენტულ მაჩვენებელს ბრალდებისა და დაცვის მხარის მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე.

დიაგრამა № 12



რიგ შემთხვევებში, მოსამართლეები დაცვის მხარის სასარგებლო გადაწყვეტილებებს იღებდნენ და ბრალდებულთა ინტერესების დაცვას ცდილობდნენ. მაგალითად, ერთ-ერთ სხდომაზე ბრალდებულმა, რომელსაც არ ჰყავდა ადვოკატი, წარმოადგინა შუამდგომლობა ჯანმრთელობის შესახებ ცნობის დასაშვებ მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე. პროკურორმა მხარი არ დაუჭირა შუამდგომლობას და განმარტა, რომ აღნიშნული მტკიცებულება ბრალდებულს არ გადაუცია პროკურორისათვის კანონით დადგენილ ვადებში. მოსამართლემ გაარკვია, რომ ბრალდებულმა არ იცოდა, რომ ბრალდების მხარესთან მტკიცებულებები უნდა გაეცვალა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებების გაცვლის წესი იყო დარღვეული, მოსამართლემ ბრალდებულის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ჯანმრთელობის შესახებ ცნობა საქმეს დაურთო. თუმცა, ამასთან, დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ დაარღვია მხარეთა თანასწორობისა და შეფჯიბრებითობის პრინციპი და დაცვის მხარეს წაართვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საპროცესო უფლება.

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია მაგალითი:

ერთ-ერთ წინასასამართლო სხდომაზე ადვოკატი ითხოვდა, რომ სადავო გამხდარიყო სხვა საქმეზე მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება. თუმცა, ამაზე მოსამართლეს გაეცინა და ლიმილით ჰკითხა ადვოკატს, თუ როგორ აპირებდა ამ მტკიცებულების გამოკვლევას? „რა, მოსამართლეს დაჰკითხავ?“ ამის შემდეგ ადვოკატს აღარ მოუთხოვია მოსამართლის განჩინების სადავოდ მიჩნევა. მოცემულ გარემოებებში, მოსამართლემ მხარეს არათუ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უთხრა უარი, არამედ შუამდგომლობის დაყენებაც კი გადააფიქრებინა და წაართვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საპროცესო უფლება.

აღსანიშნავია, რომ კიდევ უფრო შემცირებულია დაცვის მხარის აქტიურობა როგორც პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის ნაწილში, ისე დაცვის მხარის მტკიცებულებების დასაშვებობის მოთხოვნასთან მიმართებით. საინტერესოა, რომ ამ საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ორი შემთხვევა – ერთ შემთხვევაში დევნა შეწყდა მოსამართლის ინიციატივით, რადგან არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები პირი გასამტყუნებლად, ხოლო ერთ შემთხვევაში – პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა დევნის შეწყვეტის თაობაზე, რომელიც მოსამართლემ დააკმაყოფილა.⁷³

2.1. ბრალდების მხარის შუამდგომლობები მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე

ბრალდების მხარემ 273 შემთხვევაში (სადაც ეს შესაძლებელი იყო)⁷⁴ დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე.

⁷³ პროკურორმა წარმოადგინა სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულს არ ჰქონდა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი და არ შეეძლო საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობის გააზრება. მოსამართლემ ბრალდებული სხდომის დარბაზიდან გაათავისუფლა და დაუნიშნა იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა 1 წლის ვადით.

⁷⁴ 277 წინასასამართლო სხდომიდან, 2 შემთხვევაში შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, სადაც არ მომხდარა მსჯელობა მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხზე, ხოლო, 2 შემთხვევაში საქმის განხილვა გადაიდო მანამ, სანამ ბრალდება შუამდგომლობას წარმოადგენდა.

დაცვის მხარის პოზიცია პროკურატურის შუამდგომლობებთან დაკავშირებით მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ:

- 266 (97%) შემთხვევაში – სრულად დაუჭირა მხარი მტკიცებულებების დასაშვებად ცნობას;
- 4 (2%) შემთხვევაში – ნაწილობრივ დაეთანხმა ბრალდების მხარეს მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე;
- 3 (1%) შემთხვევაში – სრულად არ დაუჭირა მხარი პროკურორის შუამდგომლობას.

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, კიდევ უფრო შემცირებულია დაცვის მხარის აქტიურობა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის ნაწილში. კერძოდ, 8%-დან 3%-მდე შემცირდა დაცვის მხარის წინააღმდეგობა პროკურორის შუამდგომლობებზე.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, პროკურორის შუამდგომლობა სრულად დაკმაყოფილდა 270 (99%) შემთხვევაში, ხოლო ნაწილობრივ – 2 (1%) შემთხვევაში.⁷⁵

2.2. დაცვის მხარის შუამდგომლობები მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე

დაცვის მხარემ მხოლოდ 47 (17%) შემთხვევაში წარმოადგინა მტკიცებულებები სასამართლოში და მოითხოვა მათი დასაშვებად ცნობა.⁷⁶ აქედან, ბრალდების მხარე 32 შემთხვევაში (68%) სრულად დაეთანხმა დაცვას მტკიცებულებების დასაშვებობაზე, 9 (19%) შემთხვევაში ნაწილობრივ დაუჭირა მხარი, ხოლო 6 (13%) შემთხვევაში დააყენა შუამდგომლობა დაცვის მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის თაობაზე.

⁷⁵ 1 შემთხვევაში მოსამართლემ სხდომა გადადო და მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხზე არ უმსჯელია.

⁷⁶ ვინაიდან 277 სხდომიდან 2 სხდომა გადაიდო, 2 შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა, სადაც არ მომხდარა მსჯელობა მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხზე, ხოლო 1 სხდომაზე მხოლოდ ბრალდების მხარის მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი იყო განხილული და შემდეგ სხდომა გადაიდო, დაცვის მხარეს ობიექტური საშუალება ჰქონდა, 272 წინასასამართლო სხდომაზე ესარგებლა მტკიცებულებების დასაშვებობის შესაძლებლობით.

რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას, შუამდგომლობების უმეტესობა, კერძოდ, 44 (94%) შუამდგომლობა დაკმაყოფილდა სრულად, ხოლო 3 (6%) – ნაწილობრივ.

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, კიდევ უფრო შემცირებულია დაცვის მხარის აქტიურობა მტკიცებულებების დასაშვებობის მოთხოვნის ნაწილში.⁷⁷

ამდენად, წინასასამართლო სხდომები, წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, ძირითადად, ისევ რუტინულად მიმდინარეობდა. სასამართლოს მხრიდან, უმეტესად, არ გამოვლენილა რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოებული ან არაობიექტური დამოკიდებულება. აგრეთვე, არ დაფიქსირებულა ბრალდების ან დაცვის მხარის შუამდგომლობის სრულად დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევა მტკიცებულებების დასაშვებობასთან მიმართებით.

⁷⁷ წინა საანგარიშო პერიოდში დაცვის მხარემ შემთხვევათა 31%-ში დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ. ახლა ეს მაჩვენებელი 17%-მდე შემცირებული.

IX. საქმის არსებითი განხილვის დროს გამოვლენილი ტენდენციები

1. სასამართლო სხდომების გაჭიანურების პრობლემა

1.1. შესავალი

სწრაფი მართლმსაჯულებისა და გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება არაერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით თუ აქტით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან უფლებას წარმოადგენს. იგი დაცულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით,⁷⁸ საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ⁷⁹ და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით.⁸⁰ ასევე, მნიშვნელოვანია მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 5/06, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოებმა უნდა „მიაქციონ ყურადღება [...] მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელებას და სასამართლო სისტემის სათანადოდ მართვას.“⁸¹ სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მნიშვნელობას ხაზს უსვამს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტიც.⁸²

სწრაფი მართლმსაჯულების საკითხი არაერთხელ გამხდარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობის საგანი.⁸³ სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, ადგილობრივი კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს ცალკე სასამართლო პროცესის ჩატარების შესაძლებლობას, რომელიც იქნებოდა ეფექტური დაცვის საშუალება პროცესის გაჭიანურების დროს, ხოლო ასეთი დაცვის საშუალების არარსებობა, თავისთავად, გამოიწვევდა მე-13 მუხლის დარღვევას.⁸⁴

⁷⁸ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხლი 6(1).

⁷⁹ საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 14(3)(გ).

⁸⁰ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 10.

⁸¹ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 5/06, მინისტრთა საბჭოს მეთოთხმეტე შეხვედრა ბრიუსელში, (2006), პარ. 4.

⁸² ზოგადი კომენტარი No.32, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 113, პარ. 27 და 35.

⁸³ ECHR, *Philis v. Greece* (no. 2) judgment of 27 June 1997, *Portington v. Greece* judgment of 23 September 1998, *PANEK v. POLAND*, Application no. 38663/97

⁸⁴ ECHR, *KUDŁA v. POLAND*, Application no. 30210/96

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ბრალდებულს აქვს უფლება, ხელი მიუწვდებოდეს სწრაფ მართლმსაჯულებაზე, რომელიც უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ამასთან, პირს უფლება აქვს, უარი განაცხადოს ამ უფლებაზე, თუ ეს აუცილებელია დაცვის სათანადოდ მომზადებისთვის. სასამართლო ვალდებულია, პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.⁸⁵ ამავე კოდექსის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა.⁸⁶

სისხლის სამართლის საქმეები ზოგჯერ წლების განმავლობაში მიმდინარეობს ისე, რომ კონკრეტული შედეგი არ დგება და მართლმსაჯულება სათანადოდ ვერ ხორციელდება. პროცესების არაგონივრული ვადით წარმოების შედეგად, ირღვევა როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ვადები, ისე სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები.

საიას სასამართლო მონიტორინგის შედეგად დაფიქსირდა, რომ სასამართლო პროცესების თითქმის ნახევარი დაგვიანებით იწყება ან არ ხდება პროცესის გადადება, რაც საქმის წარმოების არაგონივრული ვადით გაჭიანურების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია.

1.2. პროცესის გადადება

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა საქმის განხილვის გადადების უამრავი შემთხვევა, რაც, როგორც წესი, სათანადოდ არ იყო დასაბუთებული, ხანდახან კი, შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ ემსახურებოდა საქმის წარმოების გაჭიანურებას.


434 არსებითი განხილვის სხდომიდან, რომელსაც საიას მონიტორები დაესწრნენ, 207 შემთხვევაში (48%) პროცესი გახ-

⁸⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექი, მუხლი 8 (2,3).

⁸⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 185(6).

სნისთანავე გადაიღო, ისე, რომ კანონით გათვალისწინებული არცერთი საპროცესო მოქმედება არ ყოფილა განხორციელებული.

დიაგრამა №13



- რაც შეეხება პროცესის გადადების მიზეზებს, ლიდერობს ერთი შეხედვით ობიექტური გარემოება – მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებაზე – 27% (55 პროცესი). თუმცა, არაერთმა საქმემ ცხადყო, რომ ხშირ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკება წარმოადგენს პროცესის გადადების საბაზს და არა – რეალურ მიზეზს. მართალია, არის შემთხვევები, როდესაც არსებობს საპროცესო შეთანხმების გაფორმების რეალური ინტერესი, თუმცა, მხარეები არასათანადო გულმოდგინებით ეპყრობიან აღნიშნულ საკითხს და არ ცდილობენ, რომ მოლაპარაკების პროცესი სწრაფად და გაჭიანურების გარეშე აწარმოონ.

ერთ-ერთ საქმეზე, რომელსაც საიას მონიტორი დაესწრო, ჩატარებული 3 პროცესიდან სამივე გადაიდო. აქედან, ორი – საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების მოტივით. აღსანიშნავია, რომ პირველად პროცესი გადაიდო 40 დღით, რის შემდეგაც მხარეები გამოცხადდნენ პროცესზე და კვლავ აღნიშნეს, რომ დამატებითი დრო სჭირდებათ მოლაპარაკებისთვის, რის გამოც პროცესი კიდევ 30 დღით გადაიდო, თუმცა, ვერც ამ ვადაში მიაღწიეს შეთანხმებას. შემდეგი პროცესი უკვე პროკურორის გამოუცხადებლობის მოტივით გადაიდო.

ასევე, ერთ-ერთ საქმეზე თავად მოსამართლემ განმარტა, რომ წელიწადზე მეტია პროცესები იდება, რადგან მხარეები საპროცესო შეთანხმების დადებაზე მიუთითებენ. აღნიშნულის გამო, მოსამართლემ მხარეებს მოსთხოვა, ბოლოსდაბოლოს გარკვეულიყვნენ, აპირებდნენ თუ არა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას.

- ასევე, ხშირია სხდომების გადადება პროკურატურის მონმეთა არყოფნის გამო – 20% (41 პროცესი). ამის მიზეზად, პროკურორი პროცესზე, ძირითადად, ასახელებდა მხოლოდ იმას, რომ ვერ შეძლო მონმეების წარმოდგენა. სხვა დამატებით მიზეზებზე მსჯელობას ან რაიმე მტკიცებულების წარდგენას ადგილი არ ჰქონია. რიგ შემთხვევებში, ამ საფუძვლით ზედიზედ რამდენიმე სხდომა გადაიდო.

აღსანიშნავია საქმე, რომელშიც, 4 პროცესიდან, რომელსაც საიას მონიტორი დაესწრო, ყველა სხდომა გახსნისთანავე, ყოველგვარი განხილვის გარეშე გადაიდო. აქედან 1 შემთხვევაში მიზეზი იყო პროკურორის გამოუცხადებლობა, 2 შემთხვევაში – პროკურორის მონმეთა არყოფნა, ხოლო ერთ შემთხვევაში – ადვოკატის არყოფნა.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, მხარე ვალდებულია, უზრუნველყოს საკუთარ მონმეთა გამოცხადება.⁸⁷ ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მონმე უარს ამბობს გა-

⁸⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 228 (1).

მოცხადებაზე, კანონმდებლობა მხარეს ანიჭებს უფლებამოსილებას, დააყენოს შუამდგომლობა მონმის გამოძახების თაობაზე, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მას უკვე სასამართლო გამოიძახებს. გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია მონმის იძულებით მიყვანა.⁸⁸

შესაბამისად, თუ პროკურორი ვერ ახერხებს თავისი მონმების სასამართლოში წარმოდგენას, მან უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ბერკეტი, რათა ეს არ გახდეს პროცესის გაჭიანურების საფუძველი. ამასთან, ხშირ შემთხვევაში, სრულიად უცნობი რჩება, დაიბარა თუ არა პროკურორმა მონმები წინასწარ გონივრული ვადით ადრე და ხომ არ ჰქონდა ადგილი მხარის მიერ მონმეთა წარმოდგენასთან დაკავშირებით გულგრილ დამოკიდებულებას.

- პროცესების გადადების კიდევ ერთ გავრცელებულ მიზეზს წარმოადგენს ადვოკატის არყოფნა – 16% (32 სხდომა). აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში უცნობი იყო ადვოკატის გამოუცხადებლობის მიზეზი. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის გამოუცხადებლობას სისტემატური ხასიათი ჰქონდა და არაერთ პროცესზე ჰქონდა ადგილი, მოსამართლეთა მხრიდან კანონით გათვალისწინებული სანქციის⁸⁹ გამოყენების შემთხვევა თითქმის არ დაფიქსირებულა. სისხლის სამართლის კანონმდებლობა მხარის გამოუცხადებლობას მხოლოდ საპატიო მიზეზით უშვებს.⁹⁰ შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მსჯელობის საგანი გახდეს მხარის გამოუცხადებლობის მიზეზები. აგრეთვე, დაფიქსირდა შემთხვევები – 5% (10 სხდომა) – როდესაც

⁸⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 149.

⁸⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 190(1) - თუ ადვოკატი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, სასამართლო ბრალდებულის დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფოს ხარჯზე, ამ კოდექსით დადგენილი წესით და გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა. სასამართლო უფლებამოსილია, მომდევნო სხდომაზე კიდევ ერთხელ გადადოს საქმის განხილვა არა უმეტეს 5 დღით, თუ დაცვის მხარე წარმოადგენს მოტივირებულ შუამდგომლობას, რომელშიც დასაბუთებულია ადვოკატის გამოუცხადებლობის ობიექტური მიზეზი. შუამდგომლობის წარმოუდგენლობის, წარმოდგენილი შუამდგომლობის დაუკმაყოფილებლობის ან დაკმაყოფილების შემდეგ ადვოკატის კვლავ გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სხდომა გრძელდება იურიდიული დახმარების შესაბამისი სამსახურის ადვოკატის მონაწილეობით.

⁹⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3 (18).

საქმეში არსებული ადვოკატი შეიცვალა სხვა ადვოკატით. ახლად დანიშნული ადვოკატები, როგორც წესი, ითხოვენ გარკვეულ ვადას საქმის მასალების გასაცნობად, რაც, თავის მხრივ, კვლავ პროცესის გადადებას იწვევდა. რა თქმა უნდა, ადვოკატის შეცვლა ბრალდებულის უფლებათა, თუმცა, აღნიშნული უფლებით სარგებლობა პროცესის გაჭიანურების საფუძველი არ უნდა ხდებოდეს. ამას პირდაპირ მოითხოვს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.⁹¹

ადვოკატის გამოუცხადებლობა ერთ-ერთ საქმეზე ბადებდა პროცესის განზრახ გაჭიანურების ეჭვს. საიას მონიტორი აღნიშნულ საქმეზე დაესწრო 6 პროცესს, რომელთაგან 5 ადვოკატთა გამოუცხადებლობის გამო გადაიდო, ხოლო ერთი – საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების მოტივით.

- სხვა მიზეზებში – 10% (21 სხდომა) – ერთიანდება ისეთი მიზეზები, როგორებიცაა ტექნიკური ხარვეზის არსებობა, სახაზინო ადვოკატის დანიშვნა, ადვოკატის შეცვლა, პროცესის მონაწილის ჯანმრთელობის მდგომარეობა, პროკურორის ტრენინგებში მონაწილეობა და სხვა.
- ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც პროცესის გადადება პროკურორის გამოუცხადებლობით არის განპირობებული – 8% (16 სხდომა). აღსანიშნავია, რომ აქაც, როგორც წესი, არ ხდება საკითხის გამორკვევა და გამოუცხადებლობის მიზეზების სათანადო კვლევა, ასევე, არასაპატიო გამოუცხადებლობის შემთხვევაში – კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.⁹² პროკურორის გამოუცხადებლობის მსგავსი შედეგი დგება მაშინ, როდესაც საქმეზე ცხადდება არა საქმის მწარმოებელი პროკურორი, არამედ სხვა პროკუ-

⁹¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 42(1) - „ადვოკატის შეცვლის მოტივით სასამართლო განხილვის გადადება დაუშვებელია, თუ ეს მიზნად ისახავს სასამართლო განხილვის გაჭიანურებას და მისთვის ხელის შეშლას.“

⁹² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 190 (3) - პროკურორის გამოუცხადებლობისას სასამართლო გადადებს საქმის განხილვას გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 10 დღისა და ამას აცნობებს საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ზემდგომ პროკურორს, რომელიც ვალდებულია, მომდევნო სხდომაზე უზრუნველყოს პროკურორის მონაწილეობა და სასამართლოს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი.

რორი, რომელიც ამბობს, რომ არ იცნობს საქმის მასალებს და ითხოვს სხდომის გადადებას, რაც, როგორც წესი, უპირობოდ კმაყოფილდება – 4% (9 სხდომა).

- დაფიქსირდა შემთხვევები – 4% (9 სხდომა) – როდესაც არაპატიმარი ბრალდებულები თავად არ გამოცხადდნენ სხდომაზე. რიგ შემთხვევებში, მათ ჰყავდათ ადვოკატები, თუმცა, ისინი აცხადებდნენ, რომ არ იცოდნენ, სურდათ თუ არა ბრალდებულებს მათ გარეშე სხდომის გაგრძელება. აღნიშნულის გამო ხდებოდა სხდომების გადადება ყოველგვარი მიზეზისა და ახსნა-განმარტების წარდგენის გარეშე.
- რიგ შემთხვევებში – 2% (5 სხდომა) – პროცესის გადადების მიზეზი იყო მხარეთა მოუმზადებლობა (2 შემთხვევაში დაცვის მხარე, 3 შემთხვევაში — ბრალდების მხარე). პროცესზე გამოცხადებული მხარეები მიუთითებდნენ, რომ არ ჰქონდათ მომზადებული შესავალი თუ დასკვნითი სიტყვა. აღნიშნული ცალსახად გამოხატავს სამართალწარმოების მიმართ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას.
- დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მონიტორებისთვის უცნობი დარჩა პროცესის გადადების მიზეზი – 2% (5 სხდომა). რიგ შემთხვევაში პროცესი მხარის სხვა პროცესში მონაწილეობის გამო გადაიდო – 2% (4 სხდომა).

1.2.2. პროცესის დაგვიანებით დაწყება


მონიტორინგის შედეგად დაკვირვებული 434 სასამართლო სხდომიდან 174 (40%) დაგვიანებით დაიწყო. 45 სხდომის (10%) შემთხვევაში კი, სხვადასხვა მიზეზის გამო, საიას მონიტორებისთვის უცნობი დარჩა, დროულად დაიწყო თუ არა საქმის განხილვა.

აღსანიშნავია, რომ პროცესები ხანდახან საათზე მეტი დროითაც კი გვიანდებოდა.

პროცესის დაგვიანებით დაწყება, როგორც წესი, არ ხდება მსჯელობის საგანი. არც მხარეების და არც მოსამართლის მიერ დაგვიანების თაობაზე არ კეთდება შესაბამისი განმარტებები და, საერთოდ, აღნიშნული ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხად აღიქმება, მიუხედავად იმისა, რომ საათზე მეტი ხნით დაგვიანებით პროცე-

სის გახსნა არაერთ პრობლემას იწვევს,⁹³ საბოლოოდ კი, მის გა-
ჭიანურებას უწყობს ხელს.

დიაგრამა №14



რაც შეეხება დაგვიანების მიზეზებს, მონიტორინგის შედეგების მიხედვით, პროცესის დაგვიანებით დაწყება, უმეტეს შემთხვევაში – 52% (90 სხდომა) – მოსამართლის დაგვიანებამ გამოიწვია.⁹⁴

31 სხდომის (18%) დაგვიანებით დაწყება გამოწვეული იყო მხარეთა დაგვიანებით, ხოლო 24 სხდომის (14 %) დაგვიანებით დაწყების მიზეზი გახდა სხდომის დარბაზში სხვა პროცესის გაგრძელება. იყო შემთხვევები, როდესაც მონიტორინგისთვის პროცესის დაგვიანებით დაწყების მიზეზი უცნობი დარჩა – 8% (14 სხდომა). რიც შემთხვევებში, დაგვიანება ისეთი ობიექტური გარემოებით იყო განპირობებული, როგორცაა მოსამართლის ან პროცესის რომელიმე მონაწილის სხვა პროცესზე ყოფნა – 6% (11 სხდომა). სხვა მიზეზებში კი – 2% (4 პროცესი) – ერთიანდება ისეთი მიზეზები, როგორებიცაა ტექნიკური ხარვეზი, თარჯიმნის დაგვიანება, მონმის დაგვიანება და ა.შ.

⁹³ პროცესის დაგვიანებით დაწყებით, სასამართლოების გადატვირთულობიდან გამომდინარე, მოსამართლეებს, რომლებსაც ისედაც გადატვირთული გრაფიკი აქვთ და ერთ დღეს რამდენიმე პროცესი აქვთ ჩანიშნული, უწევთ დაგვიანებით დაწყებული პროცესის მალე დასრულება ან შემდეგ პროცესზე დაგვიანება.

⁹⁴ აღსანიშნავია, რომ ამ რიცხვში არ შედის მოსამართლის სხვა პროცესზე ყოფნის შემთხვევები და ისინი ცალკეა დათვლილი.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხარეთა დაგვიანება და პროცესების გადადება აფერხებს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას და წარმოადგენს პროცესების გაჭიანურების მნიშვნელოვან საფუძველს.

2. მხარეთა შეჯიბრებითობასა და თანასწორობაში ჩარევა

2.1. შესავალი

მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი განმტკიცებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით,⁹⁵ ისე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.⁹⁶ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის პროცესი აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპზე, რაც გულისხმობს იმას, რომ მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა მხოლოდ მხარეთა პრეროგატივაა. სასამართლოს ეკრძალება მტკიცებულებათა მოპოვება და გამოკვლევა დამოუკიდებლად.⁹⁷ მოსამართლეს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ეკრძალება მონმის დაკითხვა. მოსამართლეს მონმეთათვის კითხვის დასმის უფლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში აქვს, როდესაც ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად. ამ შემთხვევაშიც კანონი მოსამართლეს არ ანიჭებს სრულ დისკრეციას, არამედ იგი შეზღუდულია მხარეთა თანხმობით. აღნიშნული გამართლებულია იმ საფუძველით, რომ მოსამართლე შეჯიბრებითობის სისხლის სამართლის პროცესში ასრულებს ნეიტრალური არბიტრის როლს, რაც წინააღმდეგობაში მოდის მონმისთვის კითხვის დასმასთან, რადგან კითხვა შეიძლება რომელიმე მხარის ინტერესებს ემსახურებოდეს.

საანგარიშო პერიოდში პროცესის დაკვირვებამ ცხადყო, რომ მოსამართლეები, ძირითადად, არ სარგებლობენ კითხვის დასმის უფლებით, თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოსამართლემ კითხვები მხარეთა ნებართვის გარეშე დაუსვა მონმებს ან სხვაგვარად ჩაერია მხარის კომპეტენციებში.

⁹⁵ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 85(გ).

⁹⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 9.

⁹⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 25 (2).

2.2. სასამართლო სხდომების ანალიზი

მოსამართლემ სულ 32 შემთხვევაში დაუსვა კითხვები მონმეებს. დადებითად აღსანიშნავია, რომ 12 შემთხვევაში (37%) კითხვის დასმა კანონის სრული დაცვით განხორციელდა, კერძოდ, არსებობდა როგორც მხარეთა თანხმობა, ასევე, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, კითხვა იყო დამაზუსტებელი. თუმცა, მაინც შეინიშნებოდა დარღვევები. კერძოდ, 8 კითხვა (26%), მართალია, იყო დამაზუსტებელი ხასიათის, თუმცა, მოსამართლეს მხარეებისგან ნებართვა არ აუღია. კითხვების ნაწილი კი, კერძოდ, 12 კითხვა (37%), იყო არა დამაზუსტებელი, არამედ სრულიად ახალი კითხვა და, ფაქტობრივად, ადგილი ჰქონდა მოსამართლის მხრიდან მონმის დაკითხვას.

ერთ-ერთ შემთხვევაში, მოსამართლემ არათუ მხარეთა ნებართვის გარეშე აწარმოა ხელახალი დაკითხვა, არამედ თავისი შეფასებაც გამოთქვა კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ასევე, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოსამართლე სხვაგვარად ერეოდა მხარეთა კომპეტენციაში. მაგალითად, თაღლითობის ერთ-ერთ საქმეზე მოსამართლე უკმაყოფილო დარჩა პროკურორის მიერ მონმის დაკითხვით და პროკურორს მიმართა, რომ მონმისგან ვერაფერი გაიგო და ნორმალურად დაეკითხა. ასევე, პროკურორს მიუთითა, რომ შემდეგ პროცესზე წარედგინა დოკუმენტები, რაზეც მონმე საუბრობდა. გარდა ამისა, პროკურორმა ორჯერ განაცხადა, რომ დაასრულა მონმის დაკითხვა, თუმცა, მოსამართლის შენიშვნებზე კვლავ აგრძელებდა დაკითხვას, რაც აზიანებდა ბრალდებულის ინტერესებს. იმავე მოსამართლემ პროკურორს შეაწყვეტინა დაზარალებულის პირდაპირი დაკითხვა და მხარეთა წინასწარი ნებართვის გარეშე დაუსვა მონმეს ხუთი შეკითხვა.

ერთ-ერთ საქმეზე მოსამართლე პროკურორთან შედიოდა კამათში, კერძოდ, სთხოვდა ახსნა-განმარტებას, თუ რატომ ჰქონდა მტკიცებულებათა ნუსხაში ადვოკატის შუამდგომლობა, ბრალდების შესახებ დადგენილება, განჩინება, განაჩენი და საქმესთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები, რაც, გარკვეულწილად, ინკვიზიციური პროცესის ელემენტებს შეიცავდა. მოსამართლემ პროკურორს ისიც კი უთხრა: „გნახავ ერთი, როგორ გამოიკვლევ ადვოკატის შუამდგომლობას?!“ განჩინებას როგორ გამოიკვლევ, რა, მოსამართლეს დაჰკითხავ?“ ამგვარი დამოკიდებულება მხარის სტრატეგიისა თუ საქმის მთლიანი მსვლელობის მიმართ

გარკვეულწილად სცილდება ნეიტრალურობის პრინციპსა და მოსამართლის ქცევის შესაბამის წესებს.

ერთ-ერთ საქმეზე, როდესაც პროკურორმა გააპროტესტა დაცვის მხარის მიერ დასმული კითხვა, მოსამართლემ, იმის ნაცვლად, რომ დაექმაცოფილებინა ან არ დაექმაცოფილებინა პროტესტი, თავად დაუსვა მონმეს იგივე შინაარსის კითხვა. ასევე, ადგილი ჰქონდა არაერთ შემთხვევას, როდესაც მოსამართლე დაყენებულ შუამდგომლობაზე მეორე მხარეს არ აძლევდა პოზიციის დაფიქსირების საშუალებას და ისე იღებდა გადაწყვეტილებას, რაც ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას.

საბოლოო ჯამში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროცესებზე ადგილი ჰქონდა მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის დარღვევის გარკვეულ შემთხვევებს, რაც გამოიხატებოდა კითხვის დასმის უფლებით არამართლზომიერ სარგებლობასა ან მხარის კომპეტენციაში სხვაგვარად ჩარევაში.

3. მოსამართლის მიერ უფლებათა განმარტება

3.1. შესავალი

სისხლის სამართალწარმოებისას პროცესის მონაწილეები აღჭურვილი არიან მთელი რიგი უფლებებითა და მოვალეობებით. პროცესის სხვა მონაწილეებისგან განსხვავებით, ბრალდებულის, როგორც სამართალწარმოების მთავარი სუბიექტი, სარგებლობს სპეციფიკური და ექსკლუზიური უფლებებით, როგორცაა, მაგალითად, დუმილის უფლება, თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება, დაცვის უფლება და სხვა. მოსამართლის ერთ-ერთ ძალიან მნიშვნელოვან როლს სწორედ აღნიშნული უფლებების შესახებ ბრალდებულისთვის სრული და ამომწურავი განმარტების მიცემა წარმოადგენს. ბრალდებულის, რომელსაც, რიგ შემთხვევაში, შეიძლება სულაც არ ჰყავდეს ადვოკატი, მოკლებულია იმის შესაძლებლობას, რომ სრულყოფილად ფლობდეს ინფორმაციას თავისი უფლებების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ პროცესის მონაწილეებს, განსაკუთრებით კი – ბრალდებულებს, სრულყოფილად და ნათლად განუმარტოს მათი უფლებები.

3.2. სასამართლო სხდომების ანალიზი

დადებითად აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ საანგარიშო პერიოდში მოსამართლეები, როგორც წესი, იცავდნენ პროცესის ფორმალურ მხარეს და აქვეყნებდნენ ინფორმაციას როგორც განსახილველი საქმის, ისე ბრალდების არსისა და მხარეთა ვინაობის შესახებ. ასევე, უფლებები მეტ-ნაკლებად სრულყოფილად განიმარტებოდა.

უფლებების განმარტების საკითხი დღის წესრიგში იდგა 69 შემთხვევაში (აღსანიშნავია, რომ უფლებების განმარტება ხდება მხოლოდ პირველ და არა – ყოველ სხდომაზე). აქედან შემთხვევების 28%-ში (19) არასრულად ან საერთოდ არ მოხდა უფლებათა განმარტება. დანარჩენ – 72%-ში (50 პროცესი) – ბრალდებულს უფლებები განემარტა სრულყოფილად.

ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები ბრალდებულებს არ უმარტავენ: დაცვის უფლებას; უფლებას – ჩვენება მისცენ, როგორც მოწმეებმა; უფლებას – თავად განახორციელონ საკუთარი თავის დაცვა და სხვა. ეს კი, წინააღმდეგობაში მოდის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან.⁹⁸ ორ შემთხვევაში მოსამართლემ ბრალდებულს მხოლოდ აცილების დაყენების უფლება განუმარტა. იყო შემთხვევა, როდესაც ბრალდებულს, რომელიც დანაშაულს აღიარებდა, მოსამართლემ არ განუმარტა, რომ იგი არ არის შეზღუდული გამოძიებაში ბრალის აღიარებით, რასაც შეუძლია, სერიოზულად დააზიანოს დაცვის მხარის ინტერესები.⁹⁹

ერთ-ერთ საქმეში მოსამართლემ აღნიშნა, რომ ორივე ბრალდებულს ერთდროულად განუმარტავდა უფლებებს, რაც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან.¹⁰⁰

ასევე, დაფიქსირდა შემთხვევები (2 საქმე), როდესაც, მართალია, სრულყოფილად მოხდა უფლებების განმარტება, თუმცა, ეს განხორციელდა საკანონმდებლო ენაზე, რამაც გააჩინა ეჭვი, რომ ბრალდებული განმარტების არსს სათანადოდ ვერ ჩასწვდებოდა.

⁹⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 230.

⁹⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 230(2).

¹⁰⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 230(1).

4. მოსამართლის მიერ წესრიგის დაცვა

4.1. შესავალი

მოსამართლის მნიშვნელოვან ვალდებულებას სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვა წარმოადგენს.¹⁰¹ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლეს აძლევს არაერთ სამართლებრივ საშუალებას,¹⁰² რათა სხდომის დარბაზში წესრიგი დაამყაროს, რასაც, თავის მხრივ, პროცესის სრულყოფილად და სამართლიანად წარმართვისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

4.2. სასამართლო სხდომების ანალიზი

საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდნენ პროცესზე წესრიგის დაცვას, რითაც ხელი ეშლებოდა პროცესის ნორმალურად წარმართვას.

ერთ-ერთ საქმეზე პროცესის მსვლელობისას ადვოკატმა რამდენჯერმე უხეში და ხმამალალი ტონით მიმართა მოწმეს, რაზეც პროკურორმა სასამართლოს სთხოვა, შესაბამისი ზომები მიეღო. ადვოკატი მოწმეს უყვიროდა და არ აცდიდა პასუხების გაცემას. ბრალდების მხარის განმარტებით, ირღვეოდა შეჯიბრებითობის პრინციპი, ვინაიდან ფიზიკურად შეუძლებელი ხდებოდა მოწმის მიერ გაცემული პასუხების გაგება. საგულისხმოა, რომ მოსამართლე აღნიშნულთან დაკავშირებით საკმაოდ ლმობიერი იყო, რითაც, ნაწილობრივ, საფრთხე შეუქმნა მხარეთა შეჯიბრებითობასა და თანასწორობას. მსგავსი სიტუაცია დაფიქსირდა კიდევ ერთ საქმეზე, სადაც მოსამართლე სათანადოდ და ადეკვატურად ვერ იცავდა მოწმის ინტერესებს და ვერ უზრუნველყოფდა წესრიგის დამყარებას სხდომის დარბაზში.

გარდა ამისა, იყო შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები არათუ ვერ იცავდნენ წესრიგს სხდომათა დარბაზში, არამედ თავადვე გვევლინებოდნენ სასამართლოსთვის შეუფერებელი ქცევის სუბიექტებად. ერთ-ერთ საქმეზე მოსამართლემ ადვოკატებს უყვირა – „გაჩუმიდით ახლა ორივე, თქვენი ხმა აღარ გავიგონო“ და

¹⁰¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 23.

¹⁰² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 85(2).

მაგიდაზე ხელი დაარტყა. ასევე, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ უყვირა პროკურორს. ამავე საქმეში სხდომაზე დამსწრე პირმა უკმაყოფილება გამოხატა მოწმის მიმართ, რის საპასუხოდაც მანდატურმა იგი დარბაზიდან გააძევა, მოსამართლეს კი არანაირი რეაგირება არ მოუხდენია. უნდა აღინიშნოს, რომ მანდატურს მოსამართლის მითითების გარეშე სხდომის დარბაზიდან დამსწრე პირის გაძევების უფლება არ ჰქონდა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ამ უფლებას მხოლოდ სხდომის თავმჯდომარეს აკისრებს. შესაბამისად, მანდატურს ეს ქმედება არა თავისი ინიციატივით, არამედ მოსამართლის გადანიყვეტილების საფუძველზე უნდა განეხორციელებინა.

5. ბრალდებულის მიმართ ვიზუალურად დამამცირებელი ღონისძიების გამოყენება

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ერთ-ერთ სახეს პატიმარი ბრალდებულის მიმართ ვიზუალურად დამამცირებელი გარემოების გამოყენება წარმოადგენს. საანგარიშო პერიოდში, მსგავსი ტიპის უსაფრთხოების ზომების დაწესება ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ბრალდებულები იყვნენ საშიში დამნაშავეები, რომელთაგანაც საჭირო იყო საზოგადოების დაცვა. ეს კი, ზიანს აყენებდა უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის პრინციპს.¹⁰³ აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გამახვილებულია OSCE/ODIHR-ის სასამართლო მონიტორინგის ანგარიშში. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულში, უნდა მოეპყრონ უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპების შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ „ბრალდებულები, ჩვეულებრივ, არ უნდა შებოჭონ ბორკილებით, არ უნდა ჩასვან საკანში სასამართლო პროცესების მსვლელობისას და არ უნდა წარმოადგინონ სასამართლოს წინაშე, როგორც საშიში დამნაშავეები.“¹⁰⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის რამდენიმე გადაწყვეტილებაში ეხება სასამართლო პროცესზე ბრალდებულთა მიმართ მოპყრობის იმგვარ საკითხებს, რამაც, შესაძლოა, საზიანოდ იმოქმედოს უდანაშაულობის პრეზუმფციაზე და გამოიწვიოს პირის მიმართ დამამცირებელი მოპყრობა. მაგალ-

¹⁰³ OSCE/ODIHR, სასამართლო მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, 3.108.

¹⁰⁴ ზოგადი კომენტარი N.32, ციტატა ნაშრომიდან, 113, პარ. 30.

ითად, ერთ საქმეზე დადგინდა, რომ სასამართლო პროცესზე ბრალდებულთა მოსათავსებლად რკინის საკნების გამოყენებამ „შესაძლოა ჩვეულებრივ მაყურებელს აფიქრებინოს, რომ იგი არის უკიდურესად საშიში დამნაშავე.“¹⁰⁵ სხვა საქმეზე სასამართლომ დაასკვნა, რომ „ასეთი ზომის დაწესება ვერასოდეს იქნება გამართლებული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-3 მუხლით, რადგან ეს წარმოადგენს ღირსების შემლახველ მოპყრობას.“¹⁰⁶

საანგარიშო პერიოდში პატიმარ ბრალდებულებთან მიმართებით დაფიქსირდა ვიზუალურად დამამცირებელი ღონისძიებების გამოყენების შემთხვევები. კერძოდ, არსებითად საქმის განხილვის სხდომებიდან სულ 99 შემთხვევაში იყო პროცესზე პატიმარი ბრალდებული წარმოდგენილი, აქედან 41 პროცესზე (41%) გამოყენებული იყო სხვადასხვა სახის ვიზუალურად დამამცირებელი ღონისძიება, მათ შორის: სხდომის მსვლელობის დროს გალიაში განთავსება (30 პროცესი), ხისა და შუშის ბოქსში განთავსება (7 პროცესი) და ხელბორკილი (4 პროცესი).

მართალია, მთელ რიგ შემთხვევებში, ბრალდებულის მიმართ ზემოაღნიშნული ღონისძიების გამოყენება შესაძლოა უკავშირდებოდეს უსაფრთხოების დაცვას, თუმცა, პროცესზე ნაკლებად რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ის რისკები, რომლებიც შეიძლება ამგვარი ღონისძიების გამოყენების საფუძველი გახდეს, იყო ინდივიდუალურ დონეზე გაზომილი და შეფასებული. კერძოდ, ბრალდებულების ქცევა არ იყო სასამართლოსთვის შეუფერებელი ან აგრესიული, ასევე, არ ჩანდა ნასამართლობის კომპონენტი ან სხვა გარემოება, რომელიც პოტენციური საფრთხის მაჩვენებელი იქნებოდა. მსგავსი ღონისძიებები გამოიყენებოდა, ძირითადად, თბილისში და ნაკლებად – სხვა ქალაქებში, რაც ბადებდა ეჭვს, რომ მათი გამოიყენება ხდებოდა ყოველგვარი ინდივიდუალური გარემოების შეფასებისა და საფრთხის სათანადოდ გაზომვის გარეშე.

ამრიგად, მსგავსი ღონისძიების გამოყენება მხოლოდ მაშინ უნდა იყოს დაშვებული, როდესაც არსებობს ბრალდებულის მხრიდან გაქცევის მცდელობის ან სხვა არამართლზომიერი ქმედების განხორციელების აშკარა და რეალური საფრთხე.


¹⁰⁵ ფირუზიანი სომხეთის წინააღმდეგ, ECtHR, 26 ივნისი 2012, პარ 73.

¹⁰⁶ OSCE/ODIHR, სასამართლო მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, პ.99.

6. განაჩენი

სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში საიას მონიტორები დაესწრნენ 434 არსებითი განხილვის სხდომას, რომელთაგანაც 67 საქმეზე დადგა განაჩენი. აქედან, შემთხვევათა 99%-ში გამოტანილი იყო გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 1%-ში – ნაწილობრივ გამამტყუნებელი/ნაწილობრივ გამამართლებელი. რაც შეეხება გამამართლებელ განაჩენს, საიას სასამართლო მონიტორინგის მე-11 საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა.

დიაგრამა №15



რეკომენდაციები

ყველა წინა საანგარიშო პერიოდისა და ბოლო დაკვირვების შედეგების გათვალისწინებით, საიამ მოამზადა შემდეგი რეკომენდაციები:

1. საერთო სასამართლოებს

- სასამართლოებმა უნდა ისარგებლონ მათთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებით აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან დაკავშირებით. მოსამართლეებმა უფრო ხშირად უნდა გამოიყენონ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებები (ალტერნატიული ღონისძიებები, პატიმრობისა და გირაოს გარდა) შესაბამის შემთხვევებში ან საერთოდ უარი თქვან აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე, როდესაც პროკურორი ვერ ასაბუთებს მისი გამოყენების აუცილებლობას. ასევე, სასამართლოებმა უნდა მოითხოვონ პროკურატურისგან აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის უფრო მეტი დასაბუთება და ბრალდების მხარეს უნდა დააკისრონ მტკიცების ტვირთი;
- პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს. უპირატესობა ყოველთვის უნდა მიენიჭოს უფლების შეზღუდვის შედარებით მსუბუქ ფორმას;
- სასამართლომ მხოლოდ საფუძვლიანი შემონემების შემდეგ უნდა დააკანონოს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების შუამდგომლობები;
- მოსამართლეებმა ყველა შემთხვევაში ჯეროვნად უნდა განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობები საპროცესო შეთანხმების სხდომებზე, სრულყოფილად უნდა განუმარტონ ბრალდებულებს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები და გამოიკვლიონ, რამდენად სამართლიანი და კანონიერი მხარეების მიერ განსაზღვრული სასჯელი, რათა არ არსებობდეს ეჭვები სასჯელისა და დანაშაულის პროპორციულობასთან დაკავშირებით;
- პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, სასამართლოს მიერ მხარის დაგვიანებისა თუ გამოუცხადებლობის საფუძვლები გამოკვლეული უნდა იყოს სიღრმისეულად

და, არასაპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული სანქციები;

- მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ ყველა შემთხვევაში დაიცვას ნეიტრალურობის პრინციპი და სხვადასხვა ფორმით არ მოახდინოს მხარეთა ფუნქციებში შეჭრა ან უფლებამოსილებების გადამეტება. ამასთან, მონმის მიმართ კითხვის დასმის უფლებით სარგებლობისას, ზედმინევნით დაიცვას კანონის მოთხოვნები;
- აუცილებელია, რომ მოსამართლეებმა სრულყოფილად და საგებად განუმარტონ ბრალდებულებს მათი ყველა უფლება;
- მოსამართლეებმა უნდა გამოიყენონ ყველა თანაზომიერი ღონისძიება სასამართლო დარბაზში ნესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, რათა მხარეებს ხელი არ შეეშალოთ საკუთარი პოზიციების სრულყოფილად წარმოდგენაში;
- სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ ინდივიდუალური რისკების შეფასება და მხოლოდ აუცილებლობისა და საჭიროების შემთხვევაში მიმართონ ვიზუალურად დამამცირებელ ღონისძიებას.

2. საქართველოს პროკურატურას

- პროკურორებმა უფრო მეტად უნდა დაასაბუთონ კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა. იმავდროულად, უნდა განმარტონ, რატომ ვერ უზრუნველყოფს სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების შეფარდება შესაბამის მიზნებს;
- პროკურორებმა უნდა დაასაბუთონ მოთხოვნილი გირაოს ოდენობა და შეისწავლონ ბრალდებულის ქონებრივი და მატერიალური შესაძლებლობები;
- პროკურატურამ ყველა შემთხვევაში უნდა დაინყოს გამოძიება, როდესაც მისთვის ცნობილი ხდება ინფორმაცია სავარაუდო წამების/არასათანადო მოპყრობის შესახებ;
- გამოძიებისა და ბრალდების ორგანოებმა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა ჩაატარონ ჩხრეკა და ამოღება სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით;

- ბრალდების მხარემ საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს დაზარალებულის პოზიციას და სხდომაზე გააჟღეროს ინფორმაცია დაზარალებულთან კონსულტაციის გავლისა და მის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესახებ.

3. საქართველოს პარლამენტს

- საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კანონი, რომლის მიზანიც იქნება მოსამართლის როლის გაზრდა სავარაუდო წამების/არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მოსამართლეს უნდა მიეცეს უფლება, მოსთხოვოს გამოძიების ორგანოს ყოველი არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოძიება, რომელიც შესასრულებლად იქნება სავალდებულო;
- უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო სტრუქტურა, რომელსაც ექნება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეებზე გამოძიებისა და დევნის განხორციელების მონაპოლია. იმავდროულად, კანონმდებლობით უნდა გაინეროს მოსამართლის უფლებამოსილება, წერილობითი ფორმით მიმართოს საგამოძიებო კომისიას, თუკი პროცესის მონაწილეებისგან შეიჭყობს, რომ დაექვემდებარნენ წამებას ან არასათანადო მოპყრობას;
- კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს დაკავების კანონიერების განხილვის მექანიზმები და პროცედურები. განისაზღვროს მოსამართლის ვალდებულება, პირველი წარდგენის სხდომაზე ყოველთვის შეამოწმოს დაკავების კანონიერება როგორც წინასწარი ნებართვის არსებობის შემთხვევაში, ისე გადაუდებელი აუცილებლობის დროს;
- კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილი (ნარკოტიკული დანაშაული) და, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილების შესაბამისად, უნდა დანესდეს შესაბამისი სასჯელები.

4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას

- აუცილებელია, რომ ადვოკატები საქმის განხილვის ყველა ეტაპზე კვალიფიციურად, აქტიურად, ყურადღებით და დამაჯერებლად ახორციელებდნენ დაცვის უფლებას. ამისათვის კი, ადვოკატთა ასოციაციამ უნდა უზრუნველყოს მათი პერმანენტული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა სფეროში (მაგალითად: აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტებთან დაკავშირებით, მტკიცებულებათა მოპოვებისა და დასაშვებობის წესებთან მიმართებით და ა.შ.).

